# საქართველო

რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№32 (10035) 2026 წლის 18 მარტი, ოთხშაბათი


ეს რამდენი ნაძირალა გვყოლია!



# კრიმინალების კიდევ ერთი შავი ღამე!

იხ. 4 გვ.

## კარლო ურუშაძემ და იაკობ კაციტაძემ მუნდირის ღირსება ფულზე გაცვალეს!



9

## სახელის გატეხვას...

## რა სჭირდება დღეს საქართველოს?!



2

ქართველ ხალხთან ერთად ჩვენ ძალიან მყარად ვიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და როგორიც არ უნდა იყოს ეს მცდელობები, მომავალშიც დავდგებით ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე

3



## ისევ მამული, ენა, სარწმუნოება!

პარლამენტის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშიდან



8

შარლ დე გოლი:

**სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!**

## მაისურაძეების გვარის ისტორია



7

უფლის მადლი ფარავდეს ძირძველ საგვარეულოს!

# ირანის წეწვა ახალი ამბავი არ გეგონოთ!



იხ. 5 გვ.

## ჩრდილოეთ კორეამ რუსეთ-უკრაინის ომში 6000 მეომარი დაკარგა!



ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE




მთავარი ციტატები

# რა სჭირდება დღეს საქართველოს?!

## ქართველ ხალხთან ერთად ჩვენ ძალიან მყარად ვიცავთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და როგორიც არ უნდა იყოს ეს მცდელობები, მომავალშიც დავდგებით ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე

პრემიერ-მინისტრის ბრიფინგი

### „მოსკოვის მექანიზმის" ანგარიშის ავტორს რატომლაც დაავიწყდა აღნიშვნა, რომ ეუთო-ოდირის მისიამ საპარლამენტო არჩევნებს კონკურენტული, ხოლო „ქართულ ოცნებას" არჩეული ხელისუფლება უწოდა!

**უნივერსალური სამართლებრივი პრინციპის თანახმად, ნებისმიერი გარე ჩარევა უცხო ქვეყნის შიდაპოლიტიკურ საქმეებში უხეშად არღვევს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს და შესაბამისად, დაუშვებელია. ეს უნივერსალური სამართლებრივი პრინციპი საქართველოში გასული წლების განმავლობაში სისტემატურად, ღიად და უხეშად ირღვეოდა.**

ეუთოს ანგარიშის ავტორი, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონის დასახელების აღნიშვნისას, ოჯახურ ღირებულებებს „ე.წ. ოჯახურ ღირებულებებად" მოიხსენიებს, რაც მისი ფსევდოლიბერალური მიკერძოების მკაფიო გამოხატულებაა.

**საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ეუთოს წევრ ბევრ ქვეყანას, მათ შორის მოსკოვის მექანიზმის ინიციატორ არაერთ ქვეყანას, იქით ასწავლოს!**

დემოკრატია, ადამიანის უფლებები, შემწყნარებლობა, შეკრების თავისუფლება, მედიის თავისუფლება, მედიაპლურალიზმი, პოლიტიკური პლურალიზმი, დემოკრატიული არჩევნები და ბევრი სხვა რამ. ამ თემაზე, მზად ვართ, გავმართოთ საჯარო დისკუსია ყველასთან, ვისაც ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია.

**„საქართველოს სჭირდება არა გუნდოვანება, არამედ გამჭვირვალობა. საქართველოს ჭირდება არა ტოტალური ლგბტ პროპაგანდა, არამედ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთან ინტერესების დაცვა. საქართველოს ჭირდება არა მუდმივი ქაოსი და არეულობა, არამედ მშვიდობა და სტაბილურობა. საქართველოს ჭირდება არა სიცრუე და სიძულვილი, არამედ ობიექტური მედია. საქართველოს ჭირდება არა უმცირესობის ძალადობა უმრავლესობაზე, არამედ უმრავლესობის დემოკრატიული მმართველობა.**

**საქართველოს ჭირდება არა კრიმინალი პოლიტიკაში, არამედ სამართლის უზენაესობა სახელმწიფო მმართველობაში. საქართველოს ჭირდება არა ის, რასაც ითხოვენ 'მოსკოვის მექანიზმის" ავტორები, არამედ ის, რასაც მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობამ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ეს არის მშვიდობა, სუვერენიტეტი და წინსვლა ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქართველი ხალხის ნების შესაბამისად"!**

საქართველოში ტარდება დემოკრატიული არჩევნები, რაც 2020 და 2024 წლებში ეუთო/ოდირმაც მკაფიოდ დაადასტურა, რის გამოც ეს უკანასკნელი რადიკალურმა ოპოზიციამ უხეშად და შეურაცხმყოფელი ფორმით გააკრიტიკა. საარჩევნო კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია დემოკრატიული არჩევნების პრინციპებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.

ანგარიშის ავტორი უარყოფითად აფასებს კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მედიას ობიექტურობის სტანდარტების დაცვას ავალდებულებს. ამ კონტექსტში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ირონიული ფაქტი, რომ საქართველოს წინააღმდეგ ე.წ. მოსკოვის მექანიზმის ერთ-ერთი ინიციატორია დიდი ბრიტანეთი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საქართველოში 2 წამყვანი ტელევიზიის დახურვა და გაჩუმება სცადა.

ეუთოს ანგარიშის ავტორი ვერც ამ შემთხვევაში მალავს მიკერძოებას და ცალმხრივად საუბრობს ხელისუფლების რიტორიკაზე, მაშინ, როდესაც ხელისუფლების განცხადებები მხოლოდ პასუხია იმ პოლიტიკურ შტურმზე, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია, ე.წ. ენჯეოები და კონკრეტული ელჩები ქართველი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ აწარმოებენ.

**„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონი უპირისპირდება ლგბტ პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანას ან მინდობით აღზრდას, სქესის შეცვლის მიზნით სამედიცინო მანიპულაციის გამოყენებას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის შესახებ ჩანაწერის თვითნებურად შეცვლას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან მედიის მიერ არატრადიციული ურთიერთობების პოპულარიზაციას და სხვ. ეს კანონი სრულ შესაბამისობაშია სამართლებრივ პრინციპებთან და მისი გადახედვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.**

**როდესაც ევროპული ქვეყნის ელჩს უწევს მედიის თავისუფლების ძირითადი უფლების ხელყოფის „გაპრავება", ეს უკვე ტრაგიკულობის ხარისხზე მეტყველებს, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი კონკრეტული ევროპული ქვეყნების ელჩებმა.**

პრემიერის თქმით, მას გასდის ვადა ივნისში ასე დასრულდება მისი არც თუ სასახელო დიპლომატიური კარიერა.

**„მისი მდგომარეობა არის ტრაგიკული, ყულევთან და „იმედთან" დაკავშირებით მისი განცხადება ამის დასტურია. როდესაც ევროპული ქვეყნის ელჩს უწევს მედიის თავისუფლების ძირითადი უფლების ხელყოფის „გაპრავება", ეს უკვე ტრაგიკულობის ხარისხზე მეტყველებს, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი კონკრეტული ევროპული ქვეყნების ელჩებმა. ეს არის ძალიან მძიმე მდგომარეობა. ამ კაცს გასდის ვადა ივნისში და საგოლოო ჯამში, ასე დასრულდება მისი არც თუ სასახელო დიპლომატიური კარიერა"**, – განაცხადა პრემიერმა.

ოპოზიციის გაერთიანებას არავითარი ფასი არ აქვს, მთლიანად დისკრედიტირებულია, შეუძლიათ გააგრძელონ იმის კეთება, რასაც აკეთებენ, აბსოლუტურად ნულია მათი წარმატების შანსი.

**ჩვენ როცა ვსაუბრობთ ხოლმე ევროპულ ბიუროკრატიაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე, ეს ყველაფერი არის, მათ შორის, კომპეტენციაშიც გამოხატული, ასევე – კეთილსინდისიერების დეფიციტში.**

**არ ვაპირებთ გამჭვირვალობის შესახებ და ოჯახური ღირებულებების შესახებ კანონმდებლობის გადახედვას, გამომდინარე იქიდან, რომ კრიტიკა არ ეფუძნება არავითარ არგუმენტებს!**

**ჩვენ ვთავაზობთ აშშ-ს სუფთა ფურცლიდან კონკრეტული გზამკვლევით სტრატეგიული პარტნიორობის განახლებას, პროცესები, რაც ბოლო დროს წარიმართა, გვინარჩუნებს ოპტიმიზმს, რომ რეალურად მოხერხდება სტრატეგიული პარტნიორობის გადატვირთვა.**

## ალექსანდრე დარახველიძე: „მოსკოვის მექანიზმის" წარმომადგენლებმა თავადვე აღიარეს, რომ აქცია იყო ძალადობრივი, ეს ჩანაწერი სამინისტროში არსებობს!

**2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში საზოგადოებამ კარგად იხილა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ორგანიზებული მცდელობა, რომელშიც ჩართული იყო არაერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია**, – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, **ალექსანდრე დარახველიძემ** განაცხადა.



დარახველიძის თქმით, შესაბამისად, სახელმწიფომ კანონით გათვალისწინებული ყველა ის საშუალებები გამოიყენა, რითიც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთა.

„ამ კონკრეტული მცდელობისთვის არაერთ პოლიტიკოსს ბრალი აქვს წაყენებული. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო არცერთ საქმეს არ იძიებს, სადაც თანამშრომელთა მიმართ კონკრეტული საკითხები არსებობს. ამჟამად გენერალური პროკურატურა იძიებს. შესაბამისად, ჩემგან არასწორი იქნება გამოძიებაზე რაიმე ინფორმაციის გაჟღერება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთა, რომელიც კარგად ორგანიზებული იყო, ადგილი ჰქონდა პოლიციაზე მასიურ თავდასხმას. საქართველოს პარლამენტი გადაწვეს, პოლიციელები არიან დაზარალებული. შესაბამისად, სამინისტრომ შესაბამისი ზომები მიიღო, რათა მსგავსი ძალადობა აღეკვეთა. ვერავინ იტყვის, რომ ეს აქცია მშვიდობიანი იყო. თავად „მოსკოვის მექანიზმის" წარმომადგენლებს, რომლებიც სამინისტროში იმყოფებოდნენ, წარვუდგინეთ აქციის მიმდინარეობის ვიდეომასალა და მათ თავადვე აღიარეს, რომ ეს აქცია ძალადობრივი ხასიათის იყო. ეს ჩანაწერი სამინისტროში არსებობს. შესაბამისად, როცა აქცია ძალადობრივია, ხდება სახელმწიფო უწყებებზე თავდასხმა, საქართველოს პარლამენტის შენობა ფაქტობრივად გადამწვარი იყო აქციის მონაწილეების მხრიდან, პოლიციამ გამოიყენა პოლიციის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროპორციული ძალა და საშუალებები, რისი გამოყენების არა უფლება, არამედ სრული ვალდებულებაც ჰქონდა. კონკრეტულ შემთხვევებში, თუ თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა გადაცდომებს, ამის გამოძიების უფლება სამინისტროს არ აქვს და ამ საკითხს გენერალური პროკურატურა იძიებს", – აღნიშნა **დარახველიძემ**.



# ისევ მამული, ენა, სარწმუნოება!

## პარლამენტის თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშიდან



**წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წელს — საიუბილეო წელს განსაკუთრებით ვულოცავ ილია II-ს, რომლის ჯანმრთელობისთვის დღეს მთელი საქართველო ლოცულობს**

ჩვენ ვართ ერი, რომელმაც ქრისტიანული რწმენა საუკუნეების განმავლობაში მარტოებმა, მტრულ გარემოში, ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილებმა გამოვატარეთ და დღემდე მოვედით. ვერავითარი არჩევანი საკუთარი იდენტობის, მრწამსის და თვითმყოფადობის დათმობის ხარჯზე ჩვენ ვერ გვექნება!

ეს არის მადლიერების წელი ღვთის მიმართ, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა და მომავლის გააზრების წელი, თუ როგორ უნდა გავიაროთ ის ახალი ჟამი. ეს არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი წინაპრების ნაფეხურები და ჩვენი შვილების მომავალი.

წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წელს. ეს იქნება განსაკუთრებული წელი, როდესაც შეგვეძლება კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ თუ ვინ ვართ დღეს, რანი ვიყავით გუშინ და რანი ვიქნებით ხვალ. ეს არის მადლიერების წელი ღვთის მიმართ, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა და მომავლის გააზრების წელი, თუ როგორ უნდა გავიაროთ ის ახალი ჟამი, რომელიც სწორედ ახლა, ჩვენს თვალწინ იბადება.

ამ საიუბილეო წელს ამ ტრიბუნიდან განსაკუთრებით ვულოცავ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომლის ჯანმრთელობისა და მხნეობისთვის დღეს მთელი საქართველო ლოცულობს!

დღეს ქართველების ევროპელობას „მაშასადამე“ აღარ სჭირდება, ვინაიდან აღარავისთვის არის სამტკიცებელი, რომ ევროპის თანაშემოქმედი საქართველო თავადაც არის ევროპა.

„ევროპა ჩვენთვის არის არა გეოპოლიტიკური პროექტი ან ბიუროკრატიული ერთობა, არამედ ღირებულებითი და ცივილიზაციური სივრცე, რომელიც ქართველების ხელითაც არის შექმნილი. სივრცე, რომელსაც ისტორიულად სხვადასხვა პოლიტიკური თუ ინსტიტუციური ფორმა ჰქონდა. ევროკავშირი ევროპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ის არც პირველია და არც უკანასკნელი“!

„ის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი არ არის, არ ნიშნავს, რომ საქართველო ევროპა არ არის ან ვინმეზე ნაკლები ევროპაა. ამიტომ ვერც ბრიუსელისგან და ვერც ევროკავშირის სხვა დედაქალაქისგან ვერ მივიღებთ მენტორულ ტონს, როცა საუბარია ევროპულ ღირებულებებზე – იმ ღირებულებებზე, რომელთა დაცვაშიც საქართველო ხშირად მარტო იდგა ისტორიის ყველაზე მძიმე მონაკვეთებში.

ევროპა ნიშნავს, ეძებდე მშვიდობასა და განვითარებას, რომელიც ეფუძნება სამართლიანობას, თანამშრომლობას, ღირსებასა და ურთიერთპატივისცემას, და არა იერარქიასა და დაქვემდებარებას. ევროკავშირის წევრობა არავის უნდა აძლევდეს უფლებას, მენტორული ტონით ესაუბროს ქართველ ხალხს და ქედმაღლურად უკარნახოს, როგორი უნდა იყოს მისი არჩევანი. ასეთი დამოკიდებულება უსამართლო, უღირსი და, მაშასადამე, არაევროპულია“!..

ჩვენი ქვეყნის მართვის საკითხებში არ არსებობს პროევროპულობა და ანტიევროპულობა, პრორუსობა და ანტირუსობა. არსებობს მხოლოდ ქართულობა და ანტიქართულობა, ეროვნული ინტერესების ერთგულება და ეროვნული ინტერესების ღალატი.

გვსურს დავარწმუნოთ ჩვენი ამომრჩეველი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნა, მისი სიძლიერე და სიმტკიცე, იყო, არის და იქნება ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი სტრატეგია, რომლის პირდაპირი მანდატიც გვაქვს ქართველებისგან. ამ რთულ დროში კი ჩვენი გზამკვლევი და მომავლის ჩირაღდანი ისევ ის საუნჯეა, რაც დაგვიტოვეს წინაპრებმა – ჩვენი მამული, ჩვენი ენა და ჩვენი სარწმუნოება. საქართველო უპირველეს ყოვლისა – ეს არის ჩვენი მთავარი სათქმელიც და ჩვენი მთავარი იდეოლოგიაც.

17.03.2026

# დავით სონღულაშვილი: წლიდან წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი სტაბილურად ვითარდება



**საინვესტიციო ბანკმა „გალტ & თაგარტი“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის სექტორის კვლევა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ინდექსი წარადგინა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა არჩილ გაჩეჩილაძემ გახსნეს.

**– ინდექსის დინამიკა გვიჩვენებს, რომ წლიდან წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი სტაბილურად ვითარდება. ეს შედეგი არ არის შემთხვევითი. ეს მაჩვენებელი იმ თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფლის ეკონომიკის გაძლიერებას და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერას ემსახურება,** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

მინისტრის განცხადებით, აგრობიზნესი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებას, სოფლის განვითარებასა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; სწორედ ამიტომ დარგის მხარდაჭერა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

**„ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, განვითარდა გადამამუშავებელი და სამაცივრე ინფრასტრუქტურა და გაიზარდა ინვესტიციები სექტორში, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ გაჯანსაღებას ქვეყანაში. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების დაწყებიდან დღემდე, ქვეყანაში ყოველწლიურად, საშუალოდ, 8%-ით იზრდება აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვება. 2025 წელს ამ მაჩვენებელმა 18 მილიარდი ლარი შეადგინა“,** – აღნიშნა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, მნიშვნელოვნად იზრდება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიც. როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა, გასულ წელს საქართველოდან მსოფლიოს 110 ქვეყანაში ექსპორტირებულია რეკორდული, 1.8 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია.

**„სექტორის მომავალი დიდწილად დამოკიდებულია პარტნიორობაზე, რომელიც სახელმწიფოს, ბიზნესს, მეცნიერებსა და ფერმერებს აერთიანებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ვიწყებთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას სოფლის განვითარების სააგენტოს საქმიანობის კარდინალური ცვლილებებით. აპრილიდან ჩვენი ფერმერებისა და დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის გამოცხადდება სასოფლო-სამეურნეო პროგრამების თვისებრივად ახალი მიმართულებები. ჩვენი მიზანია, ქართული პროდუქტი კონკურენტუნარიანი გახდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას და მის გარდაქმნას თანამედროვე, ინოვაციურ და მაღალი პროდუქტიულობის სექტორად“,** – აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

საინვესტიციო ბანკის „გალტ & თაგარტი“ კვლევის მიხედვით, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ინდექსი, რომელიც აერთიანებს პროდუქტიულობას, ფასების სტაბილურობასა და ინვესტიციებს, 2017–2024 წლებში მთლიანობაში პოზიტიურ დინამიკას აჩვენებს. კვლევა ასევე მიუთითებს, რომ საკვები პროდუქტების ბაზარი სწრაფად იზრდება და 2025 წელს დაახლოებით 21.5 მილიარდ ლარს აღწევს, ხოლო არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში 2030 წლისთვის 30 მილიარდ ლარამდე გაიზრდება.

# კრიმინალების კიდევ ერთი შავი ღამე!



## შსს–მ აჭარაში სპეცოპერაციის შედეგად „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 72 პირი დააკავა, კიდევ ხუთ პირს ბრალი წარედგინა, მათ შორის ე.წ. კანონიერ ქურდს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად 16-17 მარტის ღამეს აჭარაში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 72 პირი დააკავეს, კიდევ ხუთ პირს ბრალი წარედგინა, ნაწილს – პენიტენციურ დაწესებულებაში, ნაწილს კი – დაუსწრებლად, მათ შორის ე.წ. კანონიერ ქურდს,** – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, **გეკა გელაძემ** ბრიფინგზე განაცხადა.

დაკავებულებს ბრალად ედებათ „ქურდული სამყაროს წევრობა“, „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“, „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, „ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვა“ და „კანონიერი ქურდობა“.

**„სამართალდამცველების მიერ ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირები აწყობდნენ ქურდულ გარჩევებს და გამოჰქონდათ ე.წ. ქურდული გადაწყვეტილებები.**

**დაკავებულები ე.წ. ქურდული გარჩევებისა და შეკრებების დროს, უკავშირდებოდნენ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს, მათ შორის „კანონიერ ქურდს“, ასლან ქობულაძეს და პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ე.წ. ქურდული წესების შესაბამისად, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური და სხვა კრიმინალური სახის დავებზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რის შემდეგაც მხარეებს თანხის გადახდას აკისრებდნენ, კონკრეტული ვადების დარღვევის შემთხვევაში კი ფიზიკური ანგარიშსწორებითა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 223-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილით, 223-ე მუხლის სეკუნდა და 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



**მადლობას ვუხდი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყველა იმ თანამშრომელს, ასევე გამოძიებაზე პროცესუალურად ხელმძღვანელ პროკურორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღნიშნული ღონისძიების წარმატებით განხორციელებაში.**

**ქვეყანაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად ქართველი სამართალდამცველებისთვის ორგანიზებულ დანაშაულთან და, განსაკუთრებით, ე.წ. ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მიმართულებით ვმოქმედებთ და მომავალშიც ვიმოქმედებთ პრინციპულად, მკაცრად და ყოველგვარი კომპრომისის გარეშე.**

**ნებისმიერი პირი, რომელიც არღვევს კანონს და ჩართულია კრიმინალურ საქმიანობაში, კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს. ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ ბრძოლას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რათა ქვეყანაში დაცული იყოს კანონი და თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება“,** – განაცხადეს შსს-ში გამართულ ბრიფინგზე.

# კარლო ურუშაძემ და იაკობ კაციტაძემ მუნდირის ღირსება ფულზე გაცვალეს!

## შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დააკავა





**უწყების ცნობით, გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი ქრთამის აღების ფაქტზე მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.**

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 1982 წელს დაბადებულმა იაკობ კაცაძემ, სხვადასხვა პირის შსს საინფორმაციო ცენტრის ბაზებში უკანონოდ გადამოწმებისა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღო ფულადი თანხა.**

**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. რაც შეეხება დაცვის პოლიციის თანამშრომელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, 1981 წელს დაბადებულმა კარლო ურუშაძემ ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება – კერძოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს პერიოდულად ავალებდა არაგაბარიტული ტვირთების დაცვა-გაცილების შესახებ ბრძანებებში ყალბი მონაცემების შეტანას, მათ შორის არაგაბარიტული ტვირთების დაცვა-გაცილების განმახორციელებელ პირებად მასთან ახლო მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი თანამშრომლების მითითებას, რომლებიც რეალურად აღნიშნულ საქმიანობას არ ახორციელებდნენ. შედეგად, ბრძანებებში მითითებულ პირებს პერიოდულად ერიცხებოდათ ფულადი დანამატები, რითიც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.**

**გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კარლო ურუშაძე ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 341-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ტრაგედია გურჯაანში – 2 წლის ბავშვმა ელემენტი გადაყლაპა და დაიღუპა

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში, 2 წლის ბავშვმა ელემენტი გადაყლაპა და გარდაიცვალა. ადგილობრივების ინფორმაციით, 2 წლის გოგონამ ელემენტი საკუთარ სათამაშოს გამოაძრო.**

ოჯახმა სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართა და ბავშვი თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსა, თუმცა, ექიმებმა პატარას გადარჩენა ვეღარ შეძლეს. სოფელში ვარაუდობენ, რომ გოგონა ელემენტის შემცველი მძიმე მეტალებით მოიწამლა. მომხდარ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

## შვილების ცემა-ტყეპისთვის მარნეულში დააკავეს 21 წლის დედა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის ბრალდებით 2005 წელს დაბადებული ს.გ. დააკავეს.**



შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 2020 და 2024 წელს დაბადებულ შვილებზე სისტემატურად ძალადობდა. სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ს.გ. ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## რომეო მიქაუტაძეს ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს



**თბილისის საქალაქო სასამართლომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომეო მიქაუტაძეს ათი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ამასთან, სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება აეკრძალა ორი წლის ვადით.**

გადაწყვეტილება მოსამართლე ნინო გალუსტაშვილმა გამოაცხადა. სასამართლომ მიქაუტაძე ყველა წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე რომეო მიქაუტაძეს ჩამოერთმევა შემდეგი ქონება: ესპანეთში არსებული 120 კვ ბინა, ასევე წეროვანში არსებული სახლი, ავტომობილები, „ნახიდურ ჰესის“ 15%-იანი წილი და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები, მათ შორის ძვირად ღირებული საათები, ოქროს ზოდები და მონეტები. წინა სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვის უფლებით ისარგებლა რომეო მიქაუტაძემ, რა დროსაც აღნიშნა, რომ მზად არის **„აღიაროს არარსებული დანაშაული, აანაზღაუროს არარსებული ზიანი და გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება“.** პროკურატურაში კი განმარტეს, რომ მიქაუტაძე ბრალს არ აღიარებს და ასეთ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება არ ფორმდება.

## არადეკლარირებული ოქროს შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

**საბაჟო გამშვებ პუნქტში – „სარფი“, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობის 2 ფაქტი აღიკვეთა.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, საერთო ჯამში 242 გრამი არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 78 332 ლარი შეადგინა. უცხო ქვეყნის მოქალაქე საბაჟო კოდექსის 168 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის 8 215 ლარით დაჯარიმდა.

## ჟურნალისტის თვალსაწიერი

# ირანის წეწვა ახალი ამბავი არ გეგონოთ!



**სპარსეთს, უძველესი ცივილიზაციისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანას, დიდებაც უნახავს და დაცემაც, აღზევებაც და მარცხიც. იყო ისტორიული ხანა, როცა მისი მრისხანების წინაშე მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები თრთოდნენ და ქედს იხრიდნენ. ახლა, გავიხსენოთ, როგორ გაინაწილა ირანი საბჭოთა კავშირმა და ბრიტანეთმა. ეს ამბავი არც თუ შორეულ წარსულში, მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა. ირანი, ომის დასაწყისშივე ცდილობდა ნეიტრალიტეტი დაეცვა, თუმცა, უჭირდა ამის გაკეთება. იმ დროს, მუსლიმურ სამყაროში მხოლოდ სამი დამოუკიდებელი ქვეყანა არსებობდა: თურქეთი, ავღანეთი და ირანი.**

დანარჩენი, დასავლეთ ევროპული ქვეყნების კოლონიები უფრო იყო. ეს სამი ქვეყანა მოდერნიზაციის პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, რაც ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევასა და ევროპაზე დამოკიდებულების შემცირებას ნიშნავდა. ირანს, სამ დიდ ძალას, საბჭოთა კავშირს, გერმანიასა და ბრიტანეთს შორის უხდებოდა ლავირება. ქვეყნის მოდერნიზაციაში, მას გერმანია ეხმარებოდა. მაშინ, სხვადასხვა დარგის 700-მდე გერმანელი სპეციალისტი მუშაობდა ირანში. გერმანიას ირანის ენერგორესურსები აინტერესებდა, რაც ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს თვალში არ მოსდიოდათ.

**ევროპის ქვეყნების მიერ ირანის ენერგორესურსებითა და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით დაინტერესება ახალი ამბავი არ იყო. ამის გამო, ჯერ-კიდევ, პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა საერთაშორისო დაპირისპირება: გერმანია და თურქეთი სპარსეთის მთავრობას არწმუნებდა, რუსეთსა და ინდოეთში ბრიტანული სამფლობელოების წინააღმდეგ ემოქმედა. საპასუხოდ, 1914 წლის ბოლოს, რუსული ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში შევიდა, სადაც 1917 წლამდე იდგა! ბრიტანეთის ჯარი კი, სამხრეთ სპარსეთში გამაგრდა. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროსაც.**

ირანზე გავლენის მოსაპოვებლად, ერთმანეთს, საბჭოთა კავშირი და ბრიტანეთი ეჭიბრებოდა. 1920 წლებში, ირანში, ბოლშევიკების დასახმარებლად, წითელი არმია შეიჭრა, თუმცა, მალე უკანდახევა მოუწია, რადგან ირანში ბოლშევიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა. ბრიტანეთისთვის კი, მისი აზიური სამფლობელოების დასაცავად და სპარსეთის ყურეში ნავთობის მოსაპოვებლად, ირანზე კონტროლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მდგომარეობა 1941 წელს დაიძაბა, როცა ერაყში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ახალმა მთავრობამ პროგერმანული პოლიტიკის გატარება დაიწყო. იმ დროს აქტუალური იყო ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაწევის საკითხი, რომლის გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა, ირანის შაჰს ულტიმატუმი წაუყენა: მათ რეზა-ფეჰლევის ქვეყნიდან გერმანელი სპეციალისტების გაძევება და ანტიგერმანულ კოალიციაში შესვლა მოსთხოვეს. შაჰმა მოთხოვნა უგულებელყო.

1941 წლის 25 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა და ბრიტანეთმა, ომის გამოცხადებისა და დამატებითი მოთხოვნების გარეშე, ირანის წინააღმდეგ კოორდინირებული სამხედრო მოქმედებები დაიწყო. საბჭოთა სამხედრო ძალები, ანუ, 16 დივიზიისგან შემდგარი, ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის გაერთიანებული არმიები, ბრიტანეთის კოლონიურ ჯარებთან ერთად, ირანში ერაყის მხრიდან შევიდა. მოკავშირეთა საჰაერო ძალებმა თეირანსა და სხვა დიდ ქალაქებს შეუტია, რასაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა. მოკავშირეთა მიზანი იყო გაჭიანურებულ ბრძოლებში ჩართვის გარეშე, სწრაფი წინსვლა, ძირითადი ქალაქების სამეთაურო და საკომუნიკაციო კვანძების დაკავება.

ირანი მოკავშირეებს მხოლოდ ცხრა საშუალო ზომის დივიზიით უწევდა წინააღმეგობას, რომელიც, მტერთან შედარებით, ნაკლებ საბრძოლო მზადყოფნაში იყო. 29 აგვისტოს შაჰმა არმიას წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა და მოკავშირეებთან მოლაპარაკების დაწყებისთვის მზადყოფნა გამოაცხადა. მოკავშირეები არ დათანხმდნენ, და 17 სექტემბერს, საბჭოთა ჯარებმა თეირანი დაიკავეს. მოკავშირეებმა შაჰი აიძულეს, ტახტიდან გადამდგარიყო და მისი შვილი, ანტიგერმანული განწყობის მქონე მუჰამედ რეზა ფეჰლევი გამეფებულიყო. თავად შაჰი სამუდამოდ გადაასახლეს სამხრეთ აფრიკაში. მოკავშირეებმა ირანი სამ ნაწილად გაიყვეს.

ჩრდილოეთ ირანს საბჭოთა კავშირი აკონტროლებდა, სამხრეთს – ბრიტანეთი და ცენტრალურს – ახალი შაჰი, ოღონდ, მოკავშირეთა ზედამხედველობის ქვეშ. ნავთობ-საბადოებზე კონტროლი საბჭოთა კავშირმა და ბრიტანეთმა გაიყო. ერთი შაჰის მეორით ჩანაცვლების შემდეგ, საბჭოთა კავშირისა და ირანის სატრანსპორტო მაგისტრალიც ამუშავდა, რომლის გავლით, ამერიკა საბჭოთა კავშირს დახმარებას აწვდიდა.

1943 წელს, თეირანში, ანტი ჰიტლერული კოალიციის ქვეყნების დიდი სამეულის კონფერენცია გაიმართა, რომელმაც გერმანიის დამარცხების შემდეგ მისი სტრატეგიული დაყოფის, გაეროს შექმნისა და დასავლეთში მეორე ფრონტის გახსნის გეგმა შეიმუშავა. ასევე, გადაწყდა, რომ ომის მოგებით დამთავრების შემდეგ, მოკავშირეების სამხედრო ძალები ირანს დატოვებდა, თუმცა, ბრიტანეთიც და საბჭოთა კავშირიც თავიანთი სამხედრო ძალების ირანში სამუდამოდ დატოვებაზე ფიქრობდა. მაგრამ პოტსდამის კონფერენციაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ არა უგვიანეს 1946 წლის 2 მარტისა, მოკავშირეების სამხედრო ძალები ირანს დატოვებდნენ, და ქვეყნის მართვა მთლიანად მოჰამედ რეზა ფეჰლევის ხელში გადავიდოდა.

**ამერიკამ და ბრიტანეთმა გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს და 1946 წლის დასაწყისში, ორივე ქვეყნის ძალებმა ირანი დატოვა. საბჭოთა კავშირი კი, არ ჩქარობდა. სტალინს ირანის კომუნისტურ რესპუბლიკად გამოცხადების იდეა ხიბლავდა, თან, სამხრეთ აზერბაიჯანის შეერთება უნდოდა. 1945 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირის წაქეზებით, სამხრეთ აზერბაიჯანი ირანს გამოეყო და აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა. ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი თავრიზი გახდა. ქვეყნის მეთაური კი, აზერბაიჯანელი კომუნისტი, სეიდ ჯაფარ პიშევარი. აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ირანელმა ქურთებმა, საბჭოთა კავშირის დახმარებით, მეჰაბადის ქურთული რესპუბლიკა დააარსეს.**

სეპარატისტებისა და საბჭოთა კავშირის ასეთმა მოქმედებამ, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის, პირველი მასშტაბური კონფლიქტი გამოიწვია. საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალები, ირანის იმპერიულ არმიას, სეპარატისტულ რეგიონებში შესვლის საშუალებას არ აძლევდა, რის გამოც, ირანმა საბჭოთა კავშირი ექსპანსიონიზმში დაადანაშაულა და გაეროს ისტორიაში პირველად, გაეროს უშიშროების საბჭოში ოფიციალური საჩივარი შეიტანა. საბჭოთა კავშირმა საჩივარს იმით უპასუხა, რომ თეირანისკენ სამხედრო ძალები დაძრა, რამაც დასავლეთი დიდად შეაშფოთა.

ამერიკამ საბჭოთა კავშირზე დიპლომატიური ზეწოლა დაიწყო. ეს არ იკმარა და ბაქოში ატომური ბომბის ჩამოგდებით დაიმუქრა, თუ საბჭოთა კავშირი დაუყოვნებლივ არ დატოვებდა ირანს. იმ დროს, სტალინი ამერიკასთან და ბრიტანეთთან დასაშორებლად, ჯერ კიდევ, არ იყო მზად, რადგან ომის შემდგომ ქვეყნის აღორძინებაში, მათი ეკონომიკური დახმარების იმედი ჰქონდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ირანის დატოვება გადაწყვიტა. 1946 წლის 9 მაისს, ირანიდან საბჭოთა ჯარებისა და ქონების ევაკუაცია მთლიანად დასრულდა, რის შემდეგ ირანის ახალმა მეჯლისმა საბჭოთა-ირანული ერთობლივი ნავთობკომპანიის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციაზე უარი თქვა.

**საპასუხოდ, საბჭოთა კავშირი ირანელ ქურთებს დაეყრდნო და საბჭოთა აზერბაიჯანში მებრძოლთა საწვრთნელი ბაზები შექმნა, რომელთა მთავარი მიზანი, ირანის ქურთისტანში აჯანყების წაქეზება იყო. 1947 წელს, მოლა ბარზანის მეთაურობით, 2000-კაციანი შეიარაღებული ქურთული რაზმი ირანის აზერბაიჯანში შევიდა და შაჰის ძალებს დაუპირისპირდა, მაგრამ, მალევე, ირანის რეგულარული რაზმების თავდასხმის შედეგად, იძულებული გახდა, უკან დაეხია. ასე დამთავრდა ეს კრიზისი...**

# ჩრდილოეთ კორეამ რუსეთ-უკრაინის ომში 6000 მეომარი დაკარგა!




**ახლო აღმოსავლეთში ომის ესკალაციამ და ირანის ლიდერის განადგურებამ გაამყარა ჩრდილოეთ კორეის ლიდერის რწმენა, რომ მას ბირთვული არსენალის გაფართოება სჭირდება. კიმ ჩენ ინისა და მისი დინასტიისთვის, რომელიც 1948 წლიდან მართავს ჩრდილოეთ კორეას, ბირთვული პროგრამა, პირველ რიგში, რეჟიმის გადარჩენის საკითხია.**

გაეროს სანქციებისა და ტრამპის ადმინისტრაციის დიპლომატიური მცდელობების მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა, უკვე, რამდენიმე წელია, აქტიურად ავითარებს თავის ბირთვულ პროგრამას.

ოცდამეერთე საუკუნეში, ფხენიანმა დაარღვია მორატორიუმი ბირთვული იარაღის აფეთქებაზე და 2006 წელს, ბირთვული იარაღის ტესტი ჩაატარა. ბირთვული იარაღის ბოლო აფეთქება ჩრდილოეთ კორეამ 2017 წელს განახორციელა.

დასავლეთის ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეას, ამჟამად, აქვს, დაახლოებით, 50 ბირთვული ქობინი და საკმარისი მასალა კიდევ 40 ქობინის შესაქმნელად. თავად, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი დარწმუნებულია, რომ ბირთვული პროგრამის წყალობით მის ქვეყანას ვერავინ ვერ დაემუქრება. შესაბამისად, ტრამპის ხისტი პოლიტიკიდან გამომდინარე და ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის გამო, ჩრდილოეთ კორეამ თავისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და გამყარება დაიწყო. ჩრდილოეთ კორეას ბირთვული ტრიადის შექმნა სურს.

**მოგეხსენებათ, ბირთვული ტრიადა სამი კომპონენტისგან შედგება: ჰაერში სტრატეგიული ბომბდამშენები, მიწაზე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები და წყალში ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები. ბირთვული არსენალის სამივე კომპონენტის ქონის მიზანია, მნიშვნელოვნად შემცირდეს ალბათობა იმისა, რომ მოწინააღმდეგემ პირველი დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, შესძლოს ქვეყნის ბირთვული ძალების სრული განადგურება, კორეას კი, ჰქონდეს კონტრშეტევის განხორციელების შესაძლებლობა. ამჟამად, ბირთვული ტრიადა მხოლოდ სამ ქვეყანას აქვს: ამერიკას, რუსეთსა და ჩინეთს. ჩრდილოეთ კორეას კი, ჯერჯერობით, ტრიადის შესაქმნელი ტექნოლოგია და მასალა აკლია.**

ზოგიერთი დასავლელი ექსპერტის ვარაუდით, ჩრდილოეთ კორეა ცდილობს, ტრიადის შესაქმნელად დახმარებაში რუსეთი დაითანხმოს. რუსეთ-უკრაინული ფრონტის ხაზზე, ჩრდილოეთ კორეელი ჯარისკაცებისა და აღჭურვილობის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, მიდის მუშაობა, რომ მოსკოვი მზად იყოს, თავის მოკავშირეს, ფხენიანს, ბირთვული ტრიადის შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებული ინფორმაცია მიაწოდოს.

**სამხრეთ კორეის დაზვერვის მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეამ უკრაინის ომში 6000 ადამიანი დაკარგა. ის, ასევე, რუსეთს მილიონობით საარტილერიო ჭურვით, ბალისტიკური რაკეტებითა და სხვადასხვა სახის აღჭურვილობით ამარაგებს. ჩრდილოეთ კორეამ, მოკავშირეებისგან დამოუკიდებლად, თავისი სამხედრო მიღწევებით, მსოფლიო არაერთხელ გააოცა.**

ამიტომ, გასაკვირი არაა, ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალებმა, ზღვიდან გაშვებული ფრთოსანი რაკეტა რომ გამოსცადა, რასაც თავად კიმ ჩენ ინი ესწრებოდა. მოგვიანებით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ქვეყნის მილიტარიზაციის სამომავლო გეგმა გაახმოვანა, რომლის მიხედვით, ჩრდილოეთ კორეა, ყოველწლიურად, ბირთვული იარაღით აღჭურვილ ორ სამხედრო გემს ააშენებს, თუმცა, კიმ ჩენ ინის გეგმებში, დასავლეთისთვის, ყველაზე აღმაშფოთებელი სულ სხვა საკითხში აღმოჩნდა. ესაა, კოსმოსში მტრის თანამგზავრების განადგურების სპეციალური საშუალებების შექმნა.

თანამგზავრის საწინააღმდეგო იარაღი არის კოსმოსური იარაღი, რომელიც შექმნილია ტაქტიკური მიზნებისთვის და თანამგზავრების გასანეიტრალებლად, ან გასანადგურებლად.

**მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებებში, ჯერ, არც ერთი ეს სისტემა არავის არ გამოუყენებია, რამდენიმე ქვეყანამ, როგორიცაა, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ამერიკა, წარმატებით გამოსცადა ის. ახლა, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეა ასეთი სისტემის შექმნას აპირებს, რაც მსოფლიოსთვის სერიოზული გამოწვევა იქნება.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

# უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ




**ქართველი ქალები უფლებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპელ ქალებს ბევრად აღემატებიან.**

დონ კრისტოფორო დე კასტელი, მისიონერი

**საქართველოში** მე-18 საუკუნის პირველ მესამედში იმოგზაურა **ჟაკ ფრანსუა** გამბამ (1763-1833), რომელიც წლების განმავლობაში იყო საფრანგეთის კონსული თბილისში. იგი დეტალურად გაეცნო საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და დაგვიტოვა მოგზაურობათა ჩანაწერები, რომელიც გამოსცა ორ ტომად პარიზში.

## ჟაკ ფრანსუა გამბა

## მოგზაურობა ამიერკავკასიაში

### ტომი პირველი

„იმერლები მეტ წილად მაღლები და ღონივრები არიან; მათ სახის სწორი ნაკვთები აქვთ და, ცხადია, იმავე რასას განეკუთვნებიან, რომელსაც ქართველები. რაკი იმერეთი უფრო მთაგორიანი ქვეყანაა ვიდრე სამეგრელო და ამდენად ჰავაც, აქ შედარებით ჯანსაღია, აქაური მოსახლეობა ჩვეულებრივ უფრო ღონიერია და პირისახის ფერიც მათ უკეთესი აქვთ.“ იმერლებს შენარჩუნებული აქვთ „სილამაზე და სილაღე, რის გამოც მათ ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან.“ იმერეთში, „ბავშვებს, რომლებიც ესოდენ ლამაზები არიან, წაბლისფერი ან შავი თმა აქვთ.“

„ჩვენი მასპინძლის გვარი იყო ჯორჯიკია. მან თავისი მეუღლე წარმოგვიდგინა მაღალი, ტანწერწეტა და მეტად მშვენიერი ქალი. თუმცა მას უკვე თორმეტი წლის გოგონა ჰყავდა, მაგრამ თვითონ ოცდაექვსი წლისა ძლივს იქნებოდა; მთელს სამეგრელოში ჩვეულებრივ გოგონებს თორმეტი წლიდან ათხოვებენ,... იგი ძალზე თავაზიანად მოგვესალმა და მთლი იმ ხნის განმავლობაში, რაც მათთან დავრჩით, თამამად ეჭირა თავი, რამაც მეტისმეტად გაგვაოცა.“

„მთავარი საშუალო ტანისა და მოხდენილი აღნაგობისაა; მისი მეუღლე, დედოფალი, იმერეთ ერთ-ერთი უმდიდრესი დიდებულთგანის, თავად წერეთლის დაა. თავისი ტანადობითა და გულღიაობით იგი ძველ ამორძალებს (ამაზონები, – ვაჟკაცური თვისებების მქონე ქალები – ავტ.) მოგვაგონებს. მას არ აკლია გრაციოზულობა და სახითაც მშვენიერია.“

„ვისარგებლე ერთი იმერელი ბატონის თავაზიანობით, რომელმაც დახმარება შემომთავაზა. არასოდეს მინახავს ასეთი საოცარი მსგავსება ფრანსუა I-ის პორტრეტთან (ფრანსუა I, საფრანგეთის ხელმწიფე (1515-1547 წწ.). გამოირჩეოდა ძლიერი ფიზიკური აღნაგობით. თავადი პირწავარდნილი ხელმწიფე იყო. ამგვარ სახეს ძალზე ხშირად შეხვდებით იმერელ წარჩინებულთ შორის. მისი ფართო მხრები თითქოს ჰერკულეს კომოდის მხრების მიხედვით იყო ნაძერწი).

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №31

გამბა მოგზაურობის შთაბეჭდილებებში საგანგებოდ აღნიშნავს ქართველი ხალხის ბუნების ერთ-ერთი გამორჩეული მხარის, მასპინძლობის შესახებ. იმერეთში მგზავრობისას იგი საკმაოდ ფართოდ ეხება მასპინძლების მიერ სტუმრის მიღების არნახულ პატივისცემას. გამბა აღნიშნავს: **„სულ მალე როსტომ ჩხეიძის საუცხოო კარმიდამოში აღმოვჩნდით... თავადმა მშვენიერი სადილი დაგვახვედრა და უდიდესი თავაზიანობით მიგვიღო. მან ჩვენს მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების დასტურად ძველი ღვინის ორი ქვევრი გაგვიხსნა. ღვინო ძალზე მოგვეწონა; მას შამპანის წითელ ღვინოებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო.“**


მამუკა ბატონიშვილი ჩოგბურთის თამაშობისას

სხვა ადგილას გამბა წერს: **„მივადექით ორ იმერელ მემამულეს, რომლებიც წინა დღით სიმონეთში შემოგვხვდნენ და გვთხოვეს, გზად ჩვენთან შემოიარეთო. ორივე მასპინძელმა საუცხოოდ მიგვიღო. ორ იმერელ თავადს დავშორდით და უცებ იმ ადგილების მფლობელი ბატონი შემოგვხვდა. მან არ დაგვანება გზის გაგრძელება და დაგვითანხმა ჩამოვქვეითებულიყავით, რათა მისი ღვინოც გაგვესინჯა.“**

გამბა თავად აგიაშვილების მამულებსაც ესტუმრა... **„მის სუფრაგადაფარებულ მაგიდას ამშვენებდა უსკურები, ვერცხლის სინები, მოოქროვილი ვერცხლის ფიალები, ფაიფური და ბროლი... შვიდი საათისათვის გაგვიმართეს მდიდრული ვახშამი, რომელსაც ევროპული იერი დაჰკრავდა. სტუმრები მრავლად იყვნენ. საჭირო იყო უამრავი სადღეგრძელოსთვის, კერძების რჩეული ნაჭრების მირთმევის ცერემონიალისა და იმერელ თავადთა შორის მიღებული სხვა წესებისათვის თავაზიანად აგვება მხარი.“**

**„დილით ჩვენ მასპინძლებს ვთხოვეთ ქალბატონებთან წარვედგინეთ. ერთი მათგანი ამ თავადების დედა იყო, ხოლო მეორე ახალგაზრდა თავადის მეუღლე. ორთავეს ლამაზი გარეგნობა ჰქონდა, ორივენი მდიდრულად იყვნენ გამოწყობილნი. ქალბატონები ნატიფი მიხვრა-მოხვრით შემოგვეგებნენ. ჩვენ ხელზე ვეამბორეთ, მათ კი რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიან ქალთა წესისამებს გადაგვკოცნეს. ცნობისმოყვარეობამ ამ ოჯახის უამრავი მოახლე ქალი აიძულა ფანჯრებს და კასრებზე მომდგარიყო, თითქმის ყველანი ლამაზები იყვნენ.“**

* * *

მე-17 საუკუნეში საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა დონ კრისტოფორო დე კასტელი. იგი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში (1627-1654 წლებში) – მთელი 27 წელი.

მისი მოღვაწეობა იმითაც არის გამორჩეული, რომ იგი კარგი, შეიძლება ითქვას დიდი მხატვარიც იყო და არამარტო წერილობითი ცნობები დაგვიტოვა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, არამედ ჩანახატებიც მეტად საყურადღებო მინაწერებით. დე კასტელი გულწრფელად აღნიშნავს ქართველი ქალების შეუდარებელი სილამაზის შესახებ და მათ პორტრეტებსაც ხატავს. იგი საქებარ სიტყვებს არ იშურებს მათ დასახასიათებლად.

## დონ კრისტოფორო დე კასტელი

## ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ

### თბილისი, 1976.

„ქართველი ქალები უფლებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპელ ქალებს ბევრად აღემატებიან.“

„ეს ქართველთა დედოფალი ვარდისფერაა, თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსება, რომლის სიმშვენიერე გახდა სამეფოს დაქცევის მიზეზი ისე, რომ შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე.“

„საქართველოს მეფის (ალექსანდრეს) და, ცხენოსანი ქალი, აღმოსავლეთის ქალბატონთა შორის ყველაზე ლამაზი და ამავე დროს თანდაყოლილი ნიჭის პატრონი გახლდათ.“

„შეხედეთ ქართველი ქალების სადა ჩაცმულობას, ჩვენი ქალების შესარცხვენად, რომელნიც ფუქსავატნი და თავშეუკავებლები არიან.“

„უკეთილშობილესი ქართველი ქალი, მამუკა ბისკაიას მეუღლე; როდია მიქელაძე ნიჭიერი, უმაღლესი სათნოებითა და პატიოსანი ყოფაქცევით შემკული მხატვარი ქალია.“

„ლევან დადიანი ჩვენი დროის მეორე ჰანიბალია.“


მამუკა ბისკაია

„ქართველი კაცები ძალიან ძლიერნი არიან.“

„უნდა ნახოთ საქართველოს მეფე-მთავართა გულუხვობა და დიდებულება.“

„მამუკა ბისკაია – უკეთილშობილესი მეგრელი.“ სვანეთის დედოფლის, გელოვანის მეუღლის პორტრეტი ქართველი ქალის სილამაზის განსახიერებაა.“

„პატიოსანი ქალი ოქროა, გონიერება და საუცხოო ყოფაქცევა კი მისი განძი.“ გვ. 114.

„ერთგულებისა და უმანკოების, იშვიათი სილამაზის მქონე პატარების მომსახურე ქალი თანურია გიმატია, რომელიც მთავარმა მისცა პატარები მათი ერთგულების გამოსაცდელად სამეგრელოში, 1640 წლიდან 1644 წლამდე.“

„აქ ვხედავთ მეტად ლამაზ ქალს, იგი ქვეყნად მოვლენილი ანგელოზია.“

დათუა გელოვანის მეუღლე ანა, იბერიის სამეფოსა და, აგრეთვე, სვანეთის უკეთილშობილეს მანდილოსანთა შორის ულამაზესი ქალი.“

„ეს ცხენოსანი ქალი საქართველოს მეფისა და ქართველ ქალბატონთა შორის ყველაზე ლამაზი იყო და ამავე დროს დიდი ნიჭის პატრონი.“ „გურიის მთავარმა, დიდმა მალაქიამ გვიბოძა ნიჭიერი და სახით არაჩვეულებრივი სილამაზის მონა-ყმა მიქელა აზნაურიშვილი.“

„კავკასიელი სვანი ქალები გულადნი არიან.“

„ქართველები ძალიან ვაჟკაცი ხალხია.“

„ქართველები მეომარი ხალხია, მაგრები და ვაჟკაცები არიან, ბრძოლაში მამაცნი, რომლებმაც მაჰმადიანთა გარემოცვაშიც შეინარჩუნეს თავისუფლება ჩვენს დრომდე.“

„ჩვენ დაგვითმეს ძალიან ლამაზი ქალი, რომელიც დღემდე ჩემი თვალების ობიექტი იყო, იგი ადამიანად გარდაქმნილი სერაფიმი იყო... ჩემი წამოსვლის ჟამს მისი სახე და ტანი ფრჩხილებამდე დავხატე... რაღაც გრძნობას განვიცდიდით ასეთი დიდი სილამაზისაგან, მისი მარტო ერთი სახე და სიშიშვლე კაცს გონებას აკარგვინებდა.“

„დე კასტელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ქართველი ქალის, ქრისტინეს ლოცვები. განსაკუთრებით ლოცვა საქართველოზე, რომელიც დიდი ეროვნული გრძნობით არის გაჯერებული.



**ანზორ თოთაძე**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

## ალბომი საქართველოს შესახებ – დონ კრისტოფორო დე კასტელი


იმერეთის მეფის კარზე სამეგრელოს ელჩის მიღება


სამეგრელოს სოფელი ნამასი სადაც ხშირად ცხოვრობდა ლევან დადიანი


ილორის ტაძარი

# მაისურაძეების გვარის ისტორია


მაისურაძეთა გვარის შეკრება ყოვლადწმინდა სამების ტაძარში

## უფლის მადლი ფარავდეს ძირძველ საგვარეულოს!

## წარმომავლობა და სახელის ეტიმოლოგია

**გვარი მაისურაძე ეკუთვნის ეპონიმურ გვარებს, რომელთა ფუძეში დგას წინაპრის საკუთარი სახელი. მაისურაძეების ძირითადი ფუძე არის სახელები მაისა და მაისურა, რომლებზეც შემდგომ დაემატა სხვადასხვა სუფიქსი: –ანთი, –ეთი, –ათი, რაც ძველ ქართულში აღნიშნავდა საგვარეულო კუთვნილებას.**

**გვარის საბოლოო ფორმა, მაისურაძე, ჩამოყალიბდა დაახლოებით XV საუკუნეში.**

**ამავე ფუძიდან წარმოიშვა რამდენიმე ნათესავი გვარი: მაისაძე, მაისურაშვილი, მაისაშვილი, მასურაშვილი და სხვ. არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, რომ სახელწოდება მოდის არაბული სიტყვისგან და ნიშნავს „წყლის მაძიებელს“ ან „წყლის საიდუმლოს მცოდნეს“, რაც მოუთითებს, შესაძლოა, მათ ძველ პროფესიაზე – წყლის ძიება და წყალმომარაგება.**

### XV-XVII საუკუნეები – პირველი წერილობითი წყაროები

**ქართულ დოკუმენტებში მაისურაძეების გვარი პირველად ფიქსირდება XV საუკუნის მეორე ნახევრიდან.**

ერთ-ერთი უძველესი დოკუმენტი დაცულია ქუთაისის მუზეუმში – ტყავის ნაჭერზე დაწერილი ვენახის ნასყიდობის საბუთი (N486), სადაც მოწმე და შუამდგომელია ვახტანგა მაისურაძე ქველ ცოტნიას მიერ იაშვილებისადმი მიწის გადაცემის საქმეში მონაწილე. მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის „გარდაწყვეტილების წიგნი“ (1666 წ.), რომლის მიხედვით სამაჩაბლოს მკვიდრმა მამუკა მაისურაძემ ყარაშა გამყრელიძესთან შერიგების აქტზე მოაწერა ხელი. დავა თავად გაარჩიეს მეფე ვახტანგ VI შაჰნავაზმა, ბატონიშვილმა კონსტანტინემ ამილახორმა და სხვა დიდებულებმა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მაისურაძეები იმ დროისთვის უკვე აღიარებული და პატივსაცემი ოჯახი იყო ქართლის სამეფოში.

### გვარის შტოები და გეოგრაფიული განფენილობა

**მაისურაძეების გვარი ფართოდ გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც აისახა მათგან წარმოშობილ შტოებში:**

- ახალბედაშვილი – მესხეთიდან ქართლში გადმოსახლებულ მაისურაძეებს ეს გვარი ჰქონდათ მიღებული; (1997 წლის აღწერით საქართველოში 424 სული).
- ყელბერაშვილი – თეთრი წყაროს რაიონში დამკვიდრებულ მესხ მაისურაძეებს ეწოდათ.
- თუშმალიშვილი – მარტყოფელი მაისურაძეებისგან წარმოშობილი, მეფე ერეკლე II-ის მიერ აზნაურად შერაცხილნი.
- გასაძიშვილი – ახმეტის მოსახლე ამ შტოს წარმომადგენლები მაისურაძის გვარიდან იღებენ სათავეს.
- გუსური – ყაზბეგის (სტეფანწმინდა) სოფელ ტყარშეთში გადმოსახლებულ მაისურაძეებს XIX საუკუნის აღწერებში ეს გვარ-სახელი ჰქონდათ.
- ქუციაშვილები და ქუცაშვილები – ეთნოგრაფიული მონაცემებით, მაისურაძეების განშტოება, რომელთაც დღესაც „ქუცეთ“ უწოდებენ ხევში.

ტყარშეთის 1860 და 1866 წლების აღწერებში მაისურაძეები არ ფიქსირდებიან, თუმცა იგივე ოჯახები გუსურის გვარით ჩანან. ეს დადასტურებულია ეთნოგრაფიული კვლევებით, რაც ადასტურებს ერთ საგვარეულო ფესვს.

### სოციალური სტატუსი და ეკლესიური კავშირი

**მაისურაძეები სხვადასხვა საუკუნეში წარმოადგენდნენ ქართლისა და მესხეთის თავისუფალ მოსახლეობას, რომელთა ნაწილს ჰქონდა აზნაურული ან სასულიერო სტატუსი.**

მათ საგვარეულო კერებად მიიჩნევა: რაჭა, ქართლი, მესხეთი, თეთრი წყარო, ახმეტა და ხევი. სხვადასხვა შტო იყო დაკავშირებული როგორც ადგილობრივ სამეფო ადმინისტრაციასთან, ისე ეკლესიის იერარქიასთან, რაც ნათლად ჩანს XVII–XIX საუკუნეების დოკუმენტებში.

### გენეტიკური კვლევა

**მაისურაძეების გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, წარმოშობით მესხეთიდან, ჩატარებული აქვს გენეტიკური ტესტირება, რომლის შედეგი მოიცავს ჰაპლო ჯგუფს J2a–CTS900.**

ეს ჯგუფი განსაკუთრებით მაღალი სიხშირითაა გავრცელებული მთელს საქართველოში და განეკუთვნება იმ ხაზებს, რომლებიც ძველი კოლხეთ-იბერიის მოსახლეობიდან მომდინარეობს. ეს შედეგი გენეტიკურად ადასტურებს გვარის ადგილობრივ, უძველეს ქართულ წარმომავლობას.

### ბოლოთქმა

**მაისურაძეების გვარი XV საუკუნიდან იღებს სათავეს და საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს თავის ქართულ იდენტობას.**

ის წარმოიშვა ეპონიმური სახელიდან მაისურა, შემდგომ განვრცობილი ფორმებით – მაისურანთი, მაისურათი და საბოლოოდ მაისურაძე. საგვარეულო ფესვები მოიცავს ქართლს, მესხეთსა და რაჭას, ხოლო მისი სხვადასხვა შტოები ქვეყნის მრავალ კუთხეშია გავრცელებული.

* * *

**მაისურაძეების გვარიდან ღმერთმა გამოირჩია წმინდა იოანე აღმსარებელი ბეთანიელი ბერი, მისი მუდამ მადლი ფარავს მთელ გვარს.**

მაისურაძეების გვარი ისტორიულად გამოირჩევა როგორც პატიოსანი, შრომისმოყვარე და ეკლესიურად ერთგული საგვარეულო, რომლის წარმომადგენლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.



**თენგიზ გურამის ძე მაისურაძე,**
მაისურაძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე


ათონის მთა ივერონის მონასტერი


კოსტა მაისურაძის ბიუსტთან

# გუმისთის ბრძოლებიდან 33 წელი გასულა!

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა გუმისთის ბრძოლების 33-ე წლისთავთან დაკავშირებით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, მემორიალთან თავდაცვის მინისტრის მოადგილე **გრიგოლ გიორგაძე**, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე ტაბატაძე**, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე – გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი **ჯონი ტატუნაშვილი**, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი **კობა კობალაძე**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და ვეტერანები იმყოფებოდნენ. **1993 წლის 15-16 მარტს აფხაზეთში სეპარატისტებმა, დაქირავებულმა „ბოევიკებმა“ და სადესანტო შენაერთებმა მდინარე გუმისთის გასწვრივ არსებულ 8 კმ-იან ფრონტის ხაზზე ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყეს. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა და არტილერიამ სოხუმისკენ წამოსულ მოწინააღმდეგეს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა და იძულებული გახადა უკან დაეხია. უთანასწორო ბრძოლაში ქართველმა მებრძოლებმა საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე გადაარჩინეს.**





## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

**...შემატყობინეს, რომ ბოლო სამზადისი ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის იმ ოთახში მიმდინარეობდა, რომლის მეზობლად მდებარე ოთახში ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე მიწვეული სტუმრები იმყოფებოდნენ. მითხრეს, რომ იოსებ სტალინიც იქ იყო და თუ რაიმე საკითხი წამოიჭრებოდა, იგი იქვე წყვეტდა. მთელი ღამის განმავლობაში სტალინი დარბაზებში დადიოდა, საუბრობდა, სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა და გვერთან ბოკალს აჭახუნებდა. კერძოდ, მან ყურადღება დაუთმო პოლკოვნიკ პიერ პუაიადს, ავიაპოლკ „ნორმანდია-ნემანის“ მეთაურს. საბოლოოდ, როგორც იქნა, შემატყობინეს, რომ ყველაფერი მზადაა ხელშეკრულების ხელმოსაწერად, რომელიც ვიაჩესლავ მოლოტოვის კაბინეტში უნდა გაფორმებულიყო. 10 დეკემბერს, დილის ოთხ საათზე იქ მივედი.**

ხელმოწერის ცერემონია გარკვეული საზეიმო ელფერით წარიმართა. მიწვეული რუსი ფოტოგრაფები ჩუმად და საქმიანად მუშაობდნენ. ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებების მეთაურებმა, რომლებიც ორივე მხარის დელეგაციის წევრებით იყვნენ გარშემორტყმულნი, ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ეგზემპლარებს – რუსულ და ფრანგულ ენებზე. მე და სტალინი მათ უკან ვიდექით. **„ამრიგად, – ვუთხარი მე მარშალს, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და მისი რატიფიცირება აუცილებლად მოხდება. ამ თვალსაზრისით, ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება და თქვენც რაიმე პრობლემა არ გექნებათ“.** შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. **„ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ!“**, – გამოაცხადა მარშალმა. სუფრა ელვისებურად გაიშალა...

იოსებ სტალინმა მშვიდი ხმით ჩემი მისამართით კომპლიმენტი გააკეთა: **„თქვენ მაგრად იდექით. წარმატებებს გისურვებთ! მიყვარს და მომწონს ხოლმე, როცა საქმე მაქვს იმ კაცთან, რომელმაც იცის რა უნდა და მის მიღწევას ცდილობს, თუნდაც მისი პოზიცია ჩემსას არ ემთხვეოდეს“.** სტალინის ახლანდელი ლაპარაკი სულაც არ ჰგავდა იმას, რაც მან რამდენიმე საათის წინ გვაჩვენა – როცა თავის თანამებრძოლებს სადღეგრძელოებს და ქება-დიდებას უძღვნიდა. ახლა იგი რაღაც გულგრილად ლაპარაკობდა. **„ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უკვდავები არ ვართ და გამარჯვებული მხოლოდ სიკვდილი იქნება“**, – მეუბნებოდა მარშალი. ჰიტლერზე თქვა, რომ **„უბედური პიროვნებაა, მისი საქმე უკვე წასულიაო“.** მე საფრანგეთში მივიპატიჟე: **„გვეწვიეთ პარიზში, სულით და გულით გთხოვთ“. მან მიპასუხა: „აბა როგორ გეწვიოთ? მე უკვე დავბერდი და, ალბათ, მალე მოვკვდები კიდეც“.**

სტალინმა ბოკალი ასწია და საფრანგეთი ადღეგრძელა, **„რომელსაც ახლა უკვე ჰყავს გაბედული, შეუპოვარი ხელმძღვანელი და რომელსაც ვუსურვებ ძლიერი და მტკიცე იყოს, რადგანაც რუსეთს ძლიერი და მტკიცე მოკავშირე ჭირდება“.** ბოლოს მან პოლონეთსაც უძღვნა სადღეგრძელო, თუმცა დარბაზში პოლონელი არავინ არ იყო. ისე ჩანდა, რომ მას ჩემთვის რაღაც განზრახვა უნდა გაენდო, რაღაც მნიშვნელოვანის თქმა სურდა. **„რუსეთის მეფეები, – ამბობდა იგი ბოკალით ხელში, – არასწორ პოლიტიკას ატარებდნენ, როცა სხვა სლავურ ხალხებზე ბატონობა სურდათ. ჩვენ ახალი პოლიტიკა გვაქვს. დაე, სლავები ყველგან თავისუფალნი და დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ! ისინი ასე უფრო გახდებიან ჩვენი მეგობრები. გაუმარჯოს პოლონეთს – ძლიერს, დამოუკიდებელს და დემოკრატიულს! გაუმარჯოს რუსეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის მეგობრობას!“**. მან შემომხედა და მკითხა: **„თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, ბატონო დე გოლ?“**. ვუსმენდი სტალინს და ფიქრით ვზომავდი იმ უფსკრულს, რომელიც საბჭოთა კავშირში სიტყვას და საქმეს ერთმანეთისაგან აშორებდა. მე ვუპასუხე: **„გეთანხმებით, ბატონო სტალინ, რაც პოლონეთზე თქვით“.**

დამშვიდობების დროს სტალინმა მგრძნობიერად მითხრა: **„ყოველთვის გქონდეთ ჩემი იმედი. თუ პირადად თქვენ ან საფრანგეთს რაიმე გაგიჭირდებათ, ჩვენ პურის უკანასკნელ ლუკმას გაგიზიარებთ“.**

დელეგაციის წევრებთან ერთად გარეთ გამოვედი. ზღურბლზე უკან მივიხედე და სტალინს შევხედე – მაგიდასთან მარტოდმარტო მჯდარს და ჩაფიქრებულს.

**მოსკოვიდან იმავე დილით გამოვემგზავრეთ. ჩვენი მარშრუტი ისევ თეირანზე გადიოდა. გზაში საკუთარ თავს კითხვას ვუსვამდი: როგორ მიიღებს ფრანგული საზოგადოება კრემლთან დადებულ ხელშეკრულებას და ფრანგულ-რუსულ ალიანსს, კომუნისტებთან თანამშრომლობას? მე ვგრძნობდი, რომ ეს იყო ჩვენი დიდი წარმატება.**

საფრანგეთში ყველა კმაყოფილი იყო რუსეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულებით. საზოგადოება ხედავდა, რომ ჩვენ დიდი სახელმწიფოების რიგებში ვბრუნდებოდით. პოლიტიკური წრეები ხელშეკრულებას გაეროს შექმნასაც უკავშირებდნენ, რომელშიც საფრანგეთს უკვე დიდი წონა ექნებოდა. თავის მხრივ, დოკუმენტს საკონსულტაციო ასამბლეამაც მაღალი შეფასება მისცა...

მაგრამ საყოველთაო ეიფორიამ ჩემი აზრები ვერ გამიფანტა იმ გართულებების თაობაზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოსკოვში ვიგრძენი. მოსალოდნელი იყო, რომ სსრ კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი ერთმანეთს შორის გარიგებას დადებდნენ, რომლის დროსაც შეიძლებოდა საფრანგეთის ინტერესები, ევროპელი ხალხების თავისუფლება დაზარალებულიყო და წონასწორობა დარღვეულიყო. მართლაცდა, იანვრის დასაწყისში, დიპლომატიური არხებით საფრანგეთის ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ინგლისისა და ამერიკის პრესამ გამოაცხადა რომ დღე-დღეზე რუზველტის, სტალინისა და ჩერჩილის კონფერენცია გაიმართებოდა. ეს **„სამეული“** გადაწყვეტდა, თუ რას უზამდნენ გერმანიას მას შემდეგ, როცა რეიხი **„უსიტყვო კაპიტულაციას მოახდენდა“. „სამეული“** ასევე შეიმუშავებდა პოლიტიკას ცენტრალური ევროპის ხალხებისა და ბალკანეთის ქვეყნების მიმართ და ბოლოს, მოამზადებდა მსოფლიოს ხალხთა ასამბლეის ჩატარებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაქმნელად.

ის, რომ საფრანგეთი **„დიდი სამეულის“** სამიტზე არ მიიწვიეს, ჩემთვის, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო, თუმცა მაინცდამაინც არ გამკვირვებია. მჯეროდა, რომ საფრანგეთს გვერდს მაინც ვერ აუვლიდნენ. რაც არ უნდა გაეკეთებინათ და რაზედაც არ უნდა ესაუბრათ რუზველტს, სტალინს და ჩერჩილს, განსაკუთრებით გერმანიისა და იტალიის შესახებ, ისინი იძულებულნი იქნებიან თავიანთი გადაწყვეტილებების შესასრულებლად გენერალ დე გოლს თანხმობა სთხოვონ.

რაც შეეხებოდა ვისლას, დუნაის და ბალკანეთს, ჩემი აზრით, აშშ და დიდი ბრიტანეთი, უეჭველია, მათ საბჭოელების განკარგულებაში დატოვებდნენ. მაგრამ მაშინ მთელი მსოფლიო დაინახავს და მიხვდება, რომ საფრანგეთის გარიყვა მსოფლიოს პრობლემების გადაწყვეტის პროცესიდან ევროპაში ახალი განხეთქილების გამომწვევი იქნება. გადავწყვიტე, რომ დადგა დრო გამეცხადებინა, რომ საფრანგეთი მეტად აღარ მოითმენს მსგავს **„ჩაგვრას“**, საჭიროა ვისარგებლო შესაძლებლობით.

კაცმა რომ თქვას, **„დიდი სამეულიდან“** მხოლოდ ერთი იყო კონფერენციაში ჩვენი მონაწილეობის წინააღმდეგი. ამის თაობაზე რუსებმა და ბრიტანელებმა დიპლომატიური არხებით მიგვანიშნეს. მე, რა თქმა უნდა, არ მჯეროდა, რომ მარშალი სტალინი, რომელმაც კარგად იცოდა ჩემი პოზიცია პოლონეთის საკითხის მიმართ და ბატონი ჩერჩილი, რომელსაც ლონდონური მთავრობისაგან კარტ-ბლანშის მიღება სურდა აღმოსავლეთ ევროპაში, აქტიურად ცდილობდნენ იმას, რომ კონფერენციის მუშაობაში გენერალ დე გოლსაც მონაწილეობა მიეღო. ანუ მათ ორივეს ჰქონდათ საფუძველი ჩემთვის უარი ეთქვათ. მაგრამ მე ვიცოდი, რომ უარი მათგან კი არა, არამედ აშშ-ის პრეზიდენტისაგან – ფრანკლინ რუზველტისაგან მოდიოდა. სხვათა შორის, რუზველტმა თავი მოვალეედ ჩათვალა, რომ ჩემთვის ყველაფერი თვითონ აეხსნა. მან პარიზში **„სპეციალური წარმომადგენლის“** სახით თავისი პირადი მეგობარი და მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი გამოგზავნა.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №26-31



ДОГОВОР
О СОЮЗЕ И ВЗАИМНОЙ ПОМОЩИ МЕЖДУ СОЮЗОМ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК И ФРАНЦУЗСКОЙ РЕСПУБЛИКОЙ.

Президиум Верховного Совета Союза Советских Социалистических Республик и Временное Правительство Французской Республики,

Полные решимости довести совместно и до конца войну против Германии,

Убежденные в том, что, когда победа будет достигнута, восстановление мира на прочной основе и поддержание его в течение длительного времени в будущем обусловлены существованием тесного сотрудничества между ними и всеми Об"единенными Нациями,

Решив сотрудничать в деле создания международной системы безопасности для эффективного поддержания всеобщего мира и для обеспечения гармоничного развития отношений между нациями,

Желая подтвердить взаимные обязательства, вытекающие из обмена письмами от 20 сентября 1941 года, относительно совместных действий в войне против Германии,

Уверенные в том, что заключение союза между СССР и Францией отвечает чувствам и интересам обоих народов, требованиям войны и нуждам мира и экономического восстановления в полном соответствии с целями, которые ставят перед собой Об"единенные Нации,



Статья 8.

Настоящий договор, русский и французский тексты которого имеют одинаковую силу, будет ратифицирован и ратификационные грамоты будут обменены в Париже так скоро, как это будет возможно.

Он вступает в силу с момента обмена ратификационными грамотами и остается в силе в течение двадцати лет. Если, по крайней мере, за год до истечения этого периода договор не будет денонсирован одной из Высоких Договаривающихся Сторон, он остается в силе на неограниченный срок, причем каждая из Высоких Договаривающихся Сторон может прекратить его действие извещением об этом за один год.

В удостоверение чего вышеуказанные Уполномоченные подписали настоящий договор и приложили к нему свои печати.

Совершено в Москве в 2-х экземплярах.
"10" декабря 1944 года.

| | |
|---|---|
| ПО УПОЛНОМОЧИЮ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР | ПО УПОЛНОМОЧИЮ ВРЕМЕННОГО ПРАВИТЕЛЬСТВА ФРАНЦУЗСКОЙ РЕСПУБЛИКИ |
| [illegible] | [illegible] |

*სსრ კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების პრეამბულა და დასკვნითი ნაწილი. 1944 წლის 10 დეკემბერი*



ხელშეკრულებას სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელს აწერენ ვიაჩესლავ მოლოტოვი და ჟორჟ ბიდო. ხელმოწერას ესწრებიან იოსებ სტალინი და შარლ დე გოლი. 1944 წლის 10 დეკემბერი.

იგი ჩემთან იალტის კონფერენციის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მოვიდა, 27 იანვარს. ჰოპკინსს, აშშ-ის ელჩთან ჯეფერსონ კეფრისთან ერთად, დავალებული ჰქონდა ჩვენთვის **„მწარე აბი“** გადაეყლაპებინა. მაგრამ რადგანაც იგი ჭკვიანი და დიპლომატიური ადამიანი იყო, მთავარი საკითხიდან დაიწყო და მთხოვა ნებართვა ფრანგულ-ამერიკული ურთიერთობის ფუნდამენტურ თემებზე ელაპარაკა. ჰარი ჰოპკინსმა გულახდილად ამიხსნა:

**„პარიზსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობაში გართულებები არსებობს. მაგრამ რადგანაც ომი დასასრულს უახლოვდება, მსოფლიოს მომავალი გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება აშშ-სა და საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულებაზეც. როგორ უნდა გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც ვიმყოფებით?“.**

ვკითხე ჰოპკინსს, რომ ეთქვა, თუ რა არის აშშ-საფრანგეთის ცუდი ურთიერთობის მიზეზი. მან მითხრა:

**„მიზეზი უპირველესად იმაშია, რომ ჩვენ შოკში ჩავვარდით და იმედგაცრუებულნი დავრჩით, როცა 1940 წელს საფრანგეთის განადგურება ვიხილეთ, შემდეგ კი თქვენი სამარცხვინო კაპიტულაცია ჰიტლერის წინაშე. ჩვენ ფრანგების მიმართ ჩამოყალიბებული გვქონდა აზრი, რომ თქვენ ძლიერი და მამაცი ხალხი ხართ. სამწუხაროდ, ჩვენი პატივცემული დამოკიდებულება თქვენს მიმართ უეცრად დაინგრა. დაამატეთ ამას ისიც, რომ თქვენმა ცნობილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწეებმა, რომლებსაც ჩვენ დიდ პატივს ვცემდით და ჩვენს თვალში დიდი ფრანგი ხალხის სიმბოლოს წარმოადგენდნენ, ომის დროს, რბილად რომ ვთქვათ, ისეთი სახე არ აჩვენეს, როგორსაც მოველოდით. ნუ ეძებთ თქვენს მიმართ ჩემი მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულების სხვა ფარულ მიზეზებს. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ საფრანგეთს ისევ შეუძლია ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება ომისშემდგომ მსოფლიოში“.**

**„დიახ, მართალია, რომ თქვენ გამოჩნდით, გაბედული გენერალი შარლ დე გოლი. თქვენს ირგვლივ ჩამოყალიბდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა, თქვენ ბრძოლა გამოუცხადეთ ჩვენს საერთო მტერს. ვხედავთ, რომ მთელი საფრანგეთი მხურვალედ გესალმებათ და თქვენს მთავრობას მხარს უჭერს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ჯერ იმის სრული საფუძველი, რომ ბოლომდე დაგიჯეროთ. ჩვენ პატივს გცემთ და ვხედავთ, რომ საფრანგეთის აღორძინებისთვის იღვწით, მაგრამ როგორ შეგვიძლია იმის დავიწყება, რაც ჩვენ, თქვენი შემხედვარე, დაგვემართა და რაც ძლივს გადავიტანეთ? გარდა ამისა, როცა ვუყურებთ საფრანგეთის პოლიტიკურ არამდგრადობას, რომელიც სახელმწიფოს ძირს უთხრის, როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გენერალი დე გოლი კიდევ დიდხანს იქნება ქვეყნის მეთაური? განა ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ფრთხილად შევხედოთ საფრანგეთს და ეჭვი გვქონდეს მისი პასუხისმგებლობის მიმართ ხვალინდელ მსოფლიოში?“.**

ვუსმენდი ჰარი ჰოპკინსს და თითქოს ყურში ისევ მესმოდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის სიტყვები, რომლებიც მან მე ვაშინგტონში მითხრა ამ მოვლენამდე ექვსი თვით ადრე. მაგრამ მაშინ ჯერ თავისუფლები არ ვიყავით. მეც და ჩემს მთავრობასაც ოფისი ალჟირში გვქონდა. გასაგებია, რომ იმ დროს თეთრ სახლს ეჭვები ჰქონდა, მაგრამ ახლაც?

**ყველამ იცოდა, თუ როგორ იბრძოლა ჩვენმა ხალხმა დამპყრობლების წინააღმდეგ და როგორ სურთ ფრანგებს გამარჯვებაში მონაწილეობის მიღება, რასაც ჩვენი აღორძინებული არმიაც წარმატებულად ადასტურებს. მეც და ჩემს მთავრობასაც ფრანგი ხალხი მხარს გვიჭერს. რატომ არ სჯერა ვაშინგტონს, რომ საფრანგეთს ძველი დიდების დაბრუნება შეუძლია? რატომ არ სურს ამერიკას საფრანგეთისადმი დახმარების გაწევა?**



მოამზადა
სიმონ კილაძემ.
(გაგრძელება იქნება)

# სახელის გატეხვას...



**ამთავითვე მოგახსენებთ, რომ წერილის სათაური არ უკავშირდება რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ბრძოლის დათმობას, რადგან 17 ტიტულის მფლობელს ადრე თუ გვიან ტრიუმფალური მარშის შეწყვეტა მაინც მოუწევდა.**

აქ საუბარია ერთბაშად 6 ბორჯღალოსნისა და გუნდის დამხმარე პერსონალის 1 წევრის დასანქცირებაზე მსოფლიო რაგბისა და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ერთობლივად ჩატარებული მასშტაბური ანტიდოპინგური გამოძიების შემდეგ (შერისხულთა ვინაობა დისციპლინური პროცესის დასრულებამდე კონფიდენციალური რჩება).

როგორც მსოფლიო რაგბის ცნობიდან ირკვევა, **„შარდის ნიმუშებში დარღვევები გამოვლინდა მსოფლიო რაგბის სპორტსმენთა პასპორტების მართვის პროგრამის მიერ, რომელიც მოიცავდა 2023 წლის რაგბის მსოფლიო თასამდე საფრანგეთში გატარებულ ხანგრძლივ პერიოდს.**

**გამოძიება ითვალისწინებდა მოთამაშეთა მიზანმიმართულ ტესტირებას, დნმ-ის ანალიზსა და მსოფლიო რაგბის გრძელვადიანი შენახვის პროგრამის ფარგლებში შენახული ისტორიული ნიმუშების გამოკვლევას.**

**დარღვევები დაკავშირებული იყო რეკრეაციული ნარკოტიკების მოხმარებისა და ნიმუშების შეცვლის ორგანიზებულ სქემასთან – პრაქტიკასთან, რომელიც მკაცრადაა აკრძალული ანტიდოპინგური წესებით“.**

და ეს ყველაფერი როდია. კიდევ უფრო სკანდალური გახლავთ ვადა-ს პრეზიდენტ **ვიტოლდ ბანკას** კომენტარი, რომელიც პირდაპირ ურტყამს ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტსა და ავტორიტეტს: **„ქართულ რაგბიში მომხდარმა ამბავმა აღაშფოთა და შოკში ჩააგდო მთელი სპორტი და საქართველოს მთავრობა, ასევე მთელი მსოფლიო რაგბი.**

**დამიჯერეთ, ეს არ არის ამბის დასასრული. ამჟამად ჩვენ ვატარებთ შემდგომ გამოძიებას ქართული სპორტის შესახებ. ჩვენ უკვე გავუზიარეთ ჩვენი დასკვნები საქართველოს მთავრობას. ცხადია, რომ მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ დაკარგა ნდობა თავისი ქართველი კოლეგების ანტიდოპინგური პროგრამის მიმართ. ახლა ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა სერიოზული ცვლილებები უნდა განახორციელონ“.**

რომ იტყვიან, სირცხვილი და თავის მოჭრა!

**ჰოდა, ამ ფონზე რაღა მოსატანია პორტუგალიასთან შერცხვენა – 17:19?**



# სისხლსავსე უქმეები

## ჭიდაობა

**ზრენიანინი (სერბეთი).** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ სტილში. საქართველოს ნაკრები – 4 მედალი. **ვერცხლი** – გიორგი კოჩალიძე, თორნიკე მიქელაძე.



**დაგოლოს** – აქაც აკრძალულ პრეპარატებთან დაკავშირებული საგანგაშო ინფორმაცია: თავისუფალ ჭიდაობაში 2024 წლის მსოფლიო ჩემპიონს 79 კილოში **ავთანდილ კენჭაძეს** დოპინგზე გამოჭერის გამო ტიტული ჩამოერთვა და 20-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. როდისღა ვისწავლით ჭკუას?

## ჭადრაკი

**ბუხარა (უზბეკეთი).** ქალთა საერთაშორისო ფესტივალი (საპრიზო ფონდი – 36 500 დოლარი). 10 მონაწილე 7 ქვეყნიდან. **ვერცხლი** (წაუგებლად) – ნანა ძაგნიძე.

## პარაძალოსნობა

**თბილისი. ევროპის ღია ჩემპიონატი.** 200-მდე მონაწილე 27 ქვეყნიდან, მათ შორის 29 – საქართველოდან. ჯვაროსანთა მონაგარი – 12 მედალი (6 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). **ჩემპიონები:** აკაკი ჯინჭარაძე, გიორგი დურგლიშვილი, მაკა კვინჩია, აგრეთვე ახალგაზრდებში – მარიამ პაპიძე.

## კრივი

**რიგა (ლატვია).** ქალთა მე-7 თასის გათამაშება. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები – **გიული თოდუა, მათე კოღუაშვილი**) – 11 მედალი ორ ასაკობრივ ჯგუფში (5 ოქრო, 2 ვერცხლი, 4 ბრინჯაო). **ჩემპიონები:** ელენე ქარჩავა, მარიამ ნაკანი, ლიზა ლობჟანიძე, ლიკა ბუკია, ნაზი შაქარაშვილი.

**ბანგკოკი (ტაილანდი).** 19-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი „მომავლის თასი“, პარალელურად ჭაბუკთა დაკარის წლევანდელი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ასპარეზობა. 450 მონაწილე 80-მდე ქვეყნიდან. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **შალვა დუნდუა,** ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ბექა ლობჟანიძე)** – 3 მედალი (1 ოქრო, 2 ბრინჯაო). **ჩემპიონი** – დავით მხეცაძე.

# არაქართულენოვან სკოლებს – სრული მხარდაჭერა

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის, ეროვნული უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამას ახორციელებს,** – ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ შერჩეული კონსულტანტ-მასწავლებლები სახელმწიფო ენას ასწავლიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის). ამასთან, პროგრამა მოსწავლეებს და მასწავლებლებს სთავაზობს ქართული ენის შემსწავლელ კურსს, როგორც არაფორმალურ აქტივობას. პროგრამაში ჩართულია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირკენდის N1 საჯარო სკოლა, სადაც მოსწავლეებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსი 3 ასაკობრივ ჯგუფში ხორციელდება და ჯამში 80-მდე მოსწავლეს აერთიანებს.



# დაცული ტერიტორიები გაფართოვდა

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რაჭის ეროვნული პარკი 4 759 ჰექტრით გაფართოვდა. ასევე, შეიქმნა ამბროლაურის დაცული ლანდშაფტი და ხუთი ბუნების ძეგლი: უშოლთის, კიდოგანის, საკიშორის, მურადის და შარეულას მღვიმეები.**

რაჭის ეროვნული პარკი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის მუნიციპალიტეტში 2023 წელს შეიქმნა. დაცული ტერიტორიების შექმნა და არსებულის გაფართოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებაში, ბიომრავალფეროვნების დაცვაში, ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაში, რეგიონის რეკრეაციული სივრცის გაფართოებასა და ტურიზმის განვითარებაში.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N1-1/72 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ქსელში ინტეგრაციის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გეგმავს ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობას. აღნიშნული პროექტი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. მათ შორის არის 49 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „ლაჯანური-წყალტუბო.“

პროექტი იწყება სოფელ ალპანაში მდებარე ახალი ქვესადგურიდან, გადის ცაგერის, ტყიბულის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და უერთდება სოფელ გუმბრაში მდებარე ქვესადგურს. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ელექტრომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: შპს „აკა“-ს (ს/კ 402039744) საკუთრებაში არსებული 203 709 კვ.მ-დან სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.46.1047) ნაწილი – 433 კვ.მ.

ამასთან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიუთითებს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 11 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/72 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა **შპს „აკას“ (ს/კ 402039744) საკუთრებაში არსებულ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 203709 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.46.1047) ნაწილზე - 433 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N1-1/72 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ქსელში ინტეგრაციის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გეგმავს ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობას. აღნიშნული პროექტი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. მათ შორის არის 49 კმ სიგრძის 500 კვ- იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „ლაჯანური-წყალტუბო.“

პროექტი იწყება სოფელ ალპანაში მდებარე ახალი ქვესადგურიდან, გადის ცაგერის, ტყიბულის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და უერთდება სოფელ გუმბრაში მდებარე ქვესადგურს. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ელექტრომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზოგიში **ნუგზარ ხვადაგიანის** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 89.14.24.475) 1443 კვ.მ-დან 5 კვ.მ.

ამასთან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიუთითებს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 11 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/72 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა **ნუგზარ ხვადაგიანის (პ/ნ49001015736) საკუთრებაში არსებულ, ცაგერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზოგიში მდებარე 1443 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N89.14.24.475) ნაწილზე – 5 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N1-1/72 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ქსელში ინტეგრაციის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გეგმავს ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობას. აღნიშნული პროექტი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. მათ შორის არის 49 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „ლაჯანური- წყალტუბო.“

პროექტი იწყება სოფელ ალპანაში მდებარე ახალი ქვესადგურიდან, გადის ცაგერის, ტყიბულის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და უერთდება სოფელ გუმბრაში მდებარე ქვესადგურს. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ელექტრომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: სოფელ გუმბრაში **გოჩა შარაბიძის** (პ/ნ 60401167717) საკუთრებაში არსებული 5303 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.43.048) ნაწილი – 87 კვ.მ.

ამასთან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიუთითებს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 11 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/72 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა **გოჩა შარაბიძის (პ/ნ 60401167717) საკუთრებაში არსებულ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 5303 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.43.048) ნაწილზე – 87 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 18 დეკემბრის N1-1/72 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საერთო ქსელში ინტეგრაციის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გეგმავს ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობას. აღნიშნული პროექტი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. მათ შორის არის 49 კმ სიგრძის 500 კვ- იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (ეგხ) „ლაჯანური- წყალტუბო.“

პროექტი იწყება სოფელ ალპანაში მდებარე ახალი ქვესადგურიდან, გადის ცაგერის, ტყიბულის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და უერთდება სოფელ გუმბრაში მდებარე ქვესადგურს. აღნიშნული პროექტის განხორციელება შეამცირებს ელექტრომომარაგების შეწყვეტის რისკს და საშუალებას მისცემს დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ელექტროენერგიაზე.

პროექტის ზემოქმედების არეალში მოექცა: შპს „მაქს-კაპიტალის” (ს/ნ 442260731) საკუთრებაში არსებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 48097 კვ.მ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.46.283) ნაწილი – 164 კვ.მ მიწის ნაკვეთი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 16700 კვ.მ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.46.265) ნაწილი – 315 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ამასთან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიუთითებს, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე. უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2026 წლის 11 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/72 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა **შპს „მაქს-კაპიტალის” (ს/ნ 442260731) საკუთრებაში არსებულ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 48097 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N29.09.46.283) ნაწილზე - 164 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და წყალტუბოს მუნიციპალლიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე 16700 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკადასტრო კოდი N29.09.46.265) მიწის ნაკვეთის ნაწილზე – 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

საქართველოს რესპუბლიკა

ხსოვნა

# გიორგი (გია) ნახუცრიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ნახუცრიშვილი**.

გია ნახუცრიშვილი დაიბადა 1932 წლის 1 ივნისს ქ. თბილისში. 1956 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1959-1982 წლებში იყო ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერი, სწავლული მდივანი, მცენარეთა ეკოლოგიის განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე, 1982-2006 წლებში – ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, 2006-2010 წლებში – ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 2010 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილების გამგე და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ბატონმა გიამ პედაგოგიური მოღვაწეობა ახალგაზრდობის წლებშივე დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1967 წლიდან 2006 წლამდე მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006-2010 წლებში იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 2010 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პროფესორი-ემერიტუსი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი წარმატებული მეცნიერი ბოტანიკის, ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში.

პროფესორი გ. ნახუცრიშვილი იყო საქართველოსა (1979) და ავსტრიის (1986) მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი, გერმანიის ბოტანიკური საზოგადოების წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური პრობლემების კომისიის ხელმძღვანელი, ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კავკასიის მცენარეთა წითელი ნუსხის ავტორიტეტული ჯგუფის (Caucasus Plant RLA) კოორდინატორი.

გიორგი ნახუცრიშვილის სამეცნიერო ინტერესებისა და კვლევების ძირითადი სფეროები იყო მაღალმთის ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგია.

მისი სამეცნიერო პუბლიკაციები 200-მდე ნაშრომს მოიცავს. მათ შორის არის საერთაშორისო გამომცემლობა Spriger-ის მიერ გამოქვეყნებული 2 წიგნი. სამეცნიერო ნაშრომების გარდა აღსანიშნავია სტუნდენტებისთვის დაწერილი სახელმძღვანელო „ეკოლოგიის საფუძვლები“. ამავდროულად გ. ნახუცრიშვილი იყო არაერთი მონოგრაფიისა და წიგნის რედაქტორი. მიღებული ჰქონდა ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია.

გ. ნახუცრიშვილმა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში პირველმა „გაჭრა ფანჯარა“ ევროპისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში – მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით დაიწყო ქართული ბოტანიკური და ეკოლოგიური სკოლების თანამშრომლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებებთან. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია თანამშრომლობა ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის, იტალიისა და აშშ-ს წამყვან მეცნიერებთან, რომელიც დღესაც გრძელდება.

მისი საოცარი ენერგია, ენთუზიაზმი და მაღალი პროფესიონალიზმი ყოველთვის მისაბაძ მაგალითად დარჩება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის.

ქართულ მეცნიერებას დააკლდა ერთგული და თავდადებული მსახური ბატონი გია ნახუცრიშვილი.

გიორგი ნახუცრიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება**

სულთათანა

# ირმა ჩხეიძე



გარდაიცვალა **ირმა ჩხეიძე**, უძვირფასესი ქალბატონი, ჩვენი სახალხო პოეტის **ჯანსუღ ჩარკვიანის** დიდებული მეუღლე და ცხოვრების ერთგული მეგობარი.

კარგა ხანია 90 წლის ფილოლოგი, მთარგმნელი, სტილისტ-რედაქტორი ირმა ჩხეიძე ავადმყოფობდა, მას შვილის, ცნობილი ბარდის მამუკა ჩარკვიანის გარდაცვალებაც დაუმალეს... ირმა ჩხეიძემ, მეუღლის ჯანსუღ ჩარკვიანის გარდაცვალების შემდეგ მხედველობა დაკარგა და ლოგინს მიეჯაჭვა... ღმერთმა ნათელში ამყოფოს ღირსეული ქალბატონის სული.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ირმა ჩხეიძის გარდაცვალების გამო და გულითად სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს და სანათესაოს.**

## „ისწავლე და დასაქმდი“ ახალ ეტაპზე გადადის

**თბილისის მერიის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ ახალ ეტაპზე გადადის და 17 მარტიდან 1-ელი აპრილის ჩათვლით, გაზაფხულის სემესტრზე მონაწილეობის მსურველთა მიღებას იწყებს.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, წელს პროგრამა 2 000-მდე თბილისელს 80-ზე მეტ მოთხოვნად კურსს სრულიად უფასოდ სთავაზობს, პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორებს კი, სახელმწიფო სასწავლებლებთან ერთად, მიემატა კერძო სექტორიც. პროგრამის ახალი ეტაპის პრეზენტაციაზე მუნიციპალიტეტის მერიასა და „საქართველოს ბიზნეს ასოციაციას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობას საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების სფეროში. მემორანდუმს თბილისის მერმა **კახა კალაძემ** და „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემ** მოაწერეს ხელი.

## უკრაინამ, შესაძლოა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან დახმარება ველარ მიიღოს!

**გამოცემის ცნობით, ფონდში სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ, თუ რამდენად შეძლებს კიევი რვა მილიარდი დოლარის ოდენობის პაკეტიდან დახმარების მიღებას, თუკი საკანონმდებლო ცვლილებებს ვერ განახორციელებს.**

უკრაინის უმაღლეს რადას მარტის ბოლომდე აქვს ვადა, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები შეიტანოს. სწორედ ამ რეფორმაზე იქნება დამოკიდებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ კიევისთვის დაფინანსების გაგრძელება. როგორც Bloomberg-ი წერს, ამჟამად უკრაინის რადა ამ საკითხზე პარალიზებულია და გადაწყვეტილების მიღებას ვერ ახერხებს.

### ბელგიის პრემიერ-მინისტრი:
## ევროპამ რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს



**ევროპამ უკრაინაში ომის დასრულებისა და იაფი ენერგომომარაგების აღდგენის მიზნით რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს,** – ამის შესახებ ბელგიის პრემიერ-მინისტრმა, **ბარტ დე ვევერმა** განაცხადა.

როგორც „ევრონიუსი“ წერს, ბელგიურ გაზეთ L’Echo-სთან ინტერვიუში ბარტ დე ვევერმა ევროპას მოუწოდა, უკრაინაში ომის დასრულების მიზნით რუსეთთან შეთანხმებას მიაღწიოს. ამასთან, მისივე თქმით, მოლაპარაკებები ასევე აუცილებელია იაფი ენერგომომარაგების აღდგენისთვის.

როგორც „ევრონიუსი“ წერს, ევროკავშირში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მხარს უჭერენ რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებას, მაშინ როცა პოლონეთი და ბალტიის სამი ქვეყანა კატეგორიულად წინააღმდეგია.

ბარტ დე ვევერმა განაცხადა, რომ ევროპამ არ უნდა გაიმეოროს წარსული შეცდომები რუსეთთან ურთიერთობაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია აღმოსავლეთ საზღვრებზე ჯარების განლაგება.

**„ამავდროულად, ჩვენ უნდა დავალაგოთ ურთიერთობები რუსეთთან და დავიბრუნოთ წვდომა იაფ ენერგიაზე. ეს საღი აზრია“,** – განაცხადა დე ვევერმა.



## ავსტრალიამ და იაპონიამ ტრამპის მოთხოვნას უგანეს!

**ავსტრალიასა და იაპონიაში განაცხადეს, რომ არ გეგმავენ ჰორმუზის სრუტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამხედრო-საზღვაო ან არასამხედრო გემების გაგზავნას მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა მოითხოვა დაახლოებით შვიდი ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფისგან, მხარი დაუჭირონ აშშ-ს სტრატეგიული საზღვაო გზის დაცვაში.**



**„ჩვენ არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია ესკორტ გემების გაგზავნის შესახებ. ჩვენ ვაგრძელებთ იმის შესწავლას, რა შეუძლია იაპონიას, დამოუკიდებლად გააკეთოს და რა შეიძლება, გაკეთდეს სამართლებრივ ჩარჩოებში“,** – განუცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, **სანაე ტაკაიჩიმ** ქვეყნის პარლამენტს. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპმა უარი თქვა იმ ქვეყნების დასახელებაზე, რომლებთანაც მისი ადმინისტრაცია მოლაპარაკებებს აწარმოებს, მან აღნიშნა, რომ ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ნედლ ნავთობზე.

ამასთან, ავსტრალიის მთავრობის წევრმა, **კეტრინ კინგმა** ეროვნულ მაუწყებელ ABC-ს განუცხადა, რომ ქვეყანა არ გაგზავნის გემს ჰორმუზის სრუტეში.

**„ჩვენ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს, მაგრამ ეს არ არის ის, რაც ჩვენ გვთხოვეს ან რაშიც ჩვენ წვლილს შევიტანთ“,** – აღნიშნა **კეტრინ კინგმა**.

## ევროკავშირიდან პოლონეთის გასვლის საფრთხე რეალურია!



**დონალდ ტუსკი აცხადებს, რომ პოლონეთის ევროკავშირიდან გასვლის რეალური საფრთხე არსებობს.**

როგორც პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ევროკავშირიდან პოლონეთის გასვლა დღეს რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ამას მხარს უჭერს როგორც პარტია „კონფედერაცია“, ასევე პარტია „კანონისა და სამართლიანობის“ წევრების უმრავლესობა.

ტუსკმა ევროკავშირიდან პოლონეთის გასვლის მსურველი პარტიების მფარველობაში პოლონეთის პრეზიდენტი კაროლ ნავროცკი დაადანაშაულა.

**„ნავროცკი მათი მფარველია. რუსეთს, ამერიკულ მოძრაობა MAGA-ს და ევროპელ მემარჯვენეებს, ორბანის ხელმძღვანელობით, ევროკავშირის განადგურება სურთ“,** – წერს ტუსკი სოციალურ ქსელში. როგორც ტუსკმა აღნიშნა, პოლონეთისთვის ევროკავშირიდან გასვლა კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება და განაცხადა, რომ მათ შესაჩერებლად ყველაფერს გააკეთებს.

# ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები ხონში და...

**კონცერტების სერია „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები“ 16 მარტს ხონის სამუსიკო სკოლაში საზეიმოდ გაიხსნა. კონცერტში მონაწილეობდნენ თამარ ლიჩელი, ვალერიან შიუკაშვილი, დუდანა მაზმანიშვილი, ლიზი რამიშვილი, ნოდარ მდივანი, ირაკლი ევსტაფიშვილი, ნათია ქავთარაძე, გიორგი ხაინდრავა.**

კონცერტების სერია „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები“ წელს 5 ქალაქში გაიმართება. საკონცერტო სერიების ფარგლებში დაგეგმილია კონცერტები წყალტუბოში, ლანჩხუთში, ბორჯომსა და თბილისში. „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოებში“ მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები: **თამარ ლიჩელი, თეიმურაზ გუგუშვილი, ვალერიან შიუკაშვილი, ლიზი რამიშვილი, გიგი პიანომენი, დავით ალადაშვილი, გიორგი ხაინდრავა, ირაკლი ევსტაფიშვილი** და სხვ. ისევე როგორც წინა წლებში, ახლა იგეგმება ნაწარმოებების პრემიერები და რეგიონებში ახალგაზრდებთან მასტერ-კლასების ჩატარება.




„ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები“ საქართველოს კულტურის სამინისტროს, შემოქმედებითი საქართველოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მხარდაჭერით ტარდება. ღონისძიება დაარსდა 2024 წელს და დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო მუსიკალურ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც.

ეს არის ერთადერთი პროექტი საქართველოში, რომელიც ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება – ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციასა და საქართველოში მცხოვრები ქართველი მუსიკოსების გაერთიანებას. „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოების“ ერთ-ერთი მიზანია, ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც. ორგანიზატორთა სურვილია, ქართულმა მუსიკამ თანდათან მოიცვას მთელი საქართველო და შეძლებისდაგვარად მეტ რეგიონს გააცნოს ქართული კლასიკური მუსიკა და ამ სფეროში არსებული სიახლეები.




# ნუგზარ მეძმარიაშვილის პერსონალური გამოფენა

**19 მარტს, ეროვნულ გალერეაში ნუგზარ მეძმარიაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება.**

ეროვნული გალერეის ინფორმაციით, ნუგზარ მეძმარიაშვილი (1945) იმ ხელოვანთა შორისაა, რომელთა შემოქმედებითი გზა ეპოქათა ცვლილებას ასახავს: მონუმენტალისტი 1970-იან წლებიდან, ის უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ციფრულ გრაფიკასა და ფერწერაში მუშაობს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა სადიპლომო ნამუშევრით დაიმკვიდრა თავი ქართული მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების მნიშვნელოვან ფიგურად. მისი პანო „პრომეთე“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკისთვის შეიქმნა და იმ პერიოდის ერთ-ერთ მასშტაბურ პროექტად იქცა. 1970/80-იან წლებში მეძმარიაშვილი მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში (ბუდაპეშტი, მოსკოვი, პარიზი, მიუნხენი), ასრულებდა სახელმწიფო შეკვეთებს (სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ მონუმენტური პანო, გობელენის ესკიზი ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსისთვის და სხვა), ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პრორექტორი.

# ახალგაზრდული ფესტივალი ლანჩხუთში

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართა,** – ინფორმაციას ლანჩხუთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ფესტივალს მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ღურჯუმელიძე,** ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ბააკაშვილი** და რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნინო ჩიტაძე** დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში ლანჩხუთის ცენტრალურ სკვერში მოეწყო ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების, ადგილობრივი ნაწარმისა და ხელნაკეთი ნივთების, ასევე მოტობაიკების გამოფენა. ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროფესიული განათლების პროგრამების შესახებ საინფორმაციო კუთხეს. დაჯილდოვდნენ პროექტის ტურნირების გამარჯვებული გუნდები და პოსტერების კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა.



# „ოსკარების“ 2026 წლის გამარჯვებულები ცნობილია

**კინოსამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, „ოსკარის“ დაჯილდოების 98-ე ცერემონია, ლოს-ანჯელესში გაიმართა, სადაც ამერიკის კინოაკადემიამ 2025 წლის საუკეთესო ნამუშევრები დააჯილდოვა.**

საღამოს მთავარი ჯილდო, საუკეთესო ფილმის კატეგორიაში, მოიპოვა ფილმმა „One Battle After Another.“ ამავე ფილმისთვის საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მიიღო **პოლ ტომას ანდერსონმა.**

საუკეთესო მსახიობის ჯილდო გადაეცა **მაიკლ ბი ჯორდანს** ფილმისთვის **„შინნერს“,** ხოლო საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა **ჯესი ბაკლი** ფილმში „Hamnet“ შესრულებული როლისთვის.

მეორეხარისხოვანი მსახიობის კატეგორიაში ოსკარი მიიღო **შონ პენმა,** ფილმისთვის „One Battle After Another“, ხოლო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალის ჯილდო გადაეცა **ემი მედიგანს** ფილმისთვის „Weapons“.

ცერემონიაზე ყველაზე მეტი ჯილდო – ექვსი ოსკარი – სწორედ ფილმმა „One Battle After Another“ მოიპოვა.



# კლიმატის ცვლილება დედამიწის ბრუნვას ანელებს და დღე-ღამის ხანგრძლივობას ზრდის!

**ვენის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მოსტაფა კიანი შახვანდიმ და ციურიხის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ბენედიქტ სოიამ დაადგინეს, რომ გლობალური დათბობის გამო დედამიწა უფრო ნელა ბრუნავს, რის გამოც დღე-ღამის ხანგრძლივობა უპრეცედენტოდ სწრაფად იზრდება.**

მათი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამჟამად დღე-ღამე საუკუნეში დაახლოებით 1,33 მილიწამით გრძელდება. მისი ხანგრძლივობა მუდმივად იცვლება, თუმცა მეცნიერების მტკიცებით, დედამიწის ბრუნვის სიჩქარე თითქმის ისევე სწრაფად, როგორც 2000-დან 2020 წლამდე პერიოდში, მხოლოდ ერთხელ – დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ შეიცვალა. მეცნიერებმა ბოლო 3,6 მილიონი წლის მონაცემები გააანალიზეს. მკვლევრების თქმით, ცვლილებების მიზეზი პოლარული ყინულის დნობაა, რის გამოც წყლის დიდი მასები ეკვატორთან ახლოს და პლანეტის ღერძიდან უფრო შორს გადაადგილდება, რაც მის ბრუნვას ანელებს. კვლევის ავტორები მიუთითებენ, რომ ჩვენთვის შეუმჩნეველმა დღე-ღამის ხანგრძლივობის მილიწამებით ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ხარვეზები იმ სისტემების მუშაობაში, რომლებიც დროის ზუსტ ათვლას მოითხოვენ – მაგალითად, როგორიცაა GPS-ნავიგაცია.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 მარტს